„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

რედაქცია ფრანგულ-ეკატერინინსკაია ქუჩაში 10 საათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

№ 31. კვირა, 21 აგვისტო 1905 წლისა. № 31.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: სახელმწიფო სათათბირო.—ომის ამბები. ოფიციალური ცნობა.—რევოლიუციონური მოძრაობა პოლონელებსა და ებრაელებში.—რევოლიუციონური მოძრაობა დასავლეთ რუსეთში.—სხვა-და სხვა ამბები.—დაბა სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ფ. მახარაძისა.—ფრიდრიხ ენგელსი.—თანამედროვე კითხვები, ბრაკესი, (თარგმანი).—ბურჟუა და პროლეტარი.—ცოტა რამ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ისტორიიდან (თარგმანი).—წერილები რედაქციის მიმართ.

სახელმწიფო სათათბიროᲐ

(6 აგვისტოს კანონი)

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, 6 აგვისტოს გამოაქვეყნეს დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. ამ ახალი კანონის გამოცემით რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მართვა-გამგეობას ემატება ერთი ახალი დაწესებულება, რომელიც ხალხის წარმომადგენელებისაგან იქნება შემდგარი. ხსენებული კანონის გამოქვეყნებას თითქმის მთელი რუსეთი მოუთმენელათ ელოდებოდა. საზოგადოება და სხვა-და-სხვა პოლიტიკური პარტიები მასზე დიდ იმედებს ამყარებდენ. თუ რეაქციონურ პრესასა და გრინგმუტების, მეშჩერსკების და შარაპოვების მსგავს „პატრიოტებს“ არ მივიღებთ მხედველობაში, საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ მოწინავე პრესსა და საზოგადოებრივი ჯგუფები ლიბერალური ბანაკისა ერთი ამბით ელოდებოდენ ამ დებულების გამოქვეყნებას. მეორე მხრით, მთელი რეაქციონური პრესსა წყევა-კრულვით იხსენიებდა იმათ, ვისაც პირველათ აზრათ მოუვიდა რუსეთში ხალხის წარმომადგენელების მოწვევა სახელმწიფო კანონების შედგენაში მონაწილეობის მისაღებათ. თუ როგორ გამართლდა ან გაცრუვდა ერთის ან მეორეს მოლოდინი და იმედები, ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, ჯერ კი ცოტათი შევჩერდეთ იმაზე, თუ საზოგადოთ როგორ უნდა ვეკუურებდეთ რაიმე ახალი კანონის გამოცემას, და ან რას წარმოადგენს თვით კანონი. კანონი არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოხატულებაა. კანონის გამოცემა ან გაუქმება ყოველად შეუძლებელია ვისიმე სურვილზე იყოს დამოკიდებული. კანონის საფუძველი წარმოების ნივთიერ პირობებში უნდა ვეძიოთ.

რასაკვირველია, ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ისეთ კანონზე, რომელიც ცხოვრებაში გაყავთ, და არა ისეთ კანონზე, რომელიც მხოლოთ ქაღალდზე იქნება დაწერილი. ქაღალდზე შეიძლება ბევრი რამე დაიწეროს, მაგრამ თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში მას საფუძველი არა აქვს, იგი მხოლოთ ქაღალდზე დარჩება სამუდამოთ. ავიღოთ მაგალითი: ვთქვათ აღმოჩნდა ისეთი კეთილი და ბრძენი კანონმდებელი, რომელიც ბატონ-ყმობის დროს აკანონებს პოლიტიკურ თავისუფლებას, ე. ი. პიროვნების ხელუხლებლობას, ბეჭდვის, სიტყვის, კრების, კავშირის და გაფიცვის თავისუფლებას. ასეთი კანონი ბატონ-ყმურ საზოგადოებაში, სადაც პატრიარქალურ-ნატურალური წარმოებაა გამეფებული, მოლოთ ქაღალდზე დარჩება. მეორე მხრით წარმოვიდგინოთ, რომ სადმე ცხოვრობს ისეთი უგუნური და უმეცარი კანონმდებელი, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სადაც ერთი მხრით არიან მდიდრები, ბურჟუა-კაპიტალისტები, წარმოების იარაღთა მესაკუთრენი, და მეორე მხრით გაყვლეფილნი, ე. ი. მუშები, რომლებიც ქირაზე ყიდიან თავიანთ სამუშაო ძალას, რომელიც, ვიმეორებ ასეთ საზოგადოებაში სასტიკათ, კრძალავს მუშების გაფიცვას, კრებებს და კავშირებს! დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ეს კანონიც მარტო ქაღალდზე დარჩება და ცხოვრებაში კი მუშების გაფიცვა, იქნება, კრებებიც და კავშირებიც. აქედან აშკარათ ჩანს კანონის მატერიალური საფუძველი. მაგრამ მატერიალური პირობები, ე. ი. წარმოების პირობები მუდამ იცვლებიან, მაშასადამე უნდა შეიცვალოს თვით კანონიც. ეს მართლაც ასე ხდება. მაგრამ ცხოვრებაში ეს იწვევს დიდ შეტაკებას, სისხლის ღვრას და ტანჯვას. ამა თუ იმ კანონის არსებობასთან მჭიდროთ შეკავშირებულია მთელი საზოგადოებრივი ჯგუფის, ხშირათ მთელი კლასების ნიკთიერი ინტერესები, რომლების დათმობა სისხლის დაუღვრელათ შეუძლებელია. ამიტომ ხშირათ ხდება, რომ ამა თუ იმ კანონს მატერიალური საფუძველი თითქმის სრულებით გამოეცალა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ სულ სხვა კანონს მოუმზადა ნიადაგი, მაგრამ მიუხედაკათ ამისა ძველი კანონი მაინც განაგრძობს თავის არსებობას. მიუხედავათ იმისა, რომ ცხოვრებაში მან დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. აი ამაზე ამბობენ: le mort saisit le vif—მკვდარი იმორჩილებს ცოცხალსო. ძველ კანონს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ძველ საზოვადოებრივ წესწყობილებას გამოეცალა შინაარსი, დარჩა მხოლოთ მისი გარეგანი მხარე, ფორმა; საწარმოვო ძალთა-განვითარებამ უკვე წარმოშვა და განავითარა ახალი შინაარსი, მოუმზადა ნიადაგი და ჩაუყარა საფუძველი ახალ კანონს, ახალ საზოგადოებრივ წესწყობილებას; ძველი კანონი, რომელიც ერთ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებით იყო გამოწვეული, ახლა აბრკოლებს და აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალ განვითარებას. ამიტომ აუცილებელი ხდება მისი სრულიად გაუქმება და თავიდან მოშორება. როგორც ვთქვით, ეს ადვილი საქმე როდია. შეიძლება ზოგან ეს მშვიდობიანათ მოხდეს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ეს იწვევს სასტიკ ბრძოლას ძველი წესწყობილების დამცველთა და ახლის მოტრფიალეთა შორის. რამდენათაც ძლიერი და საგრძნობელი იყო ძველ წესწყობილების არსებობა, რამდენათაც მას მაგრათ ქონდა ფესვები გადგმული ხალხის ცხოვრებაში, რამდენათაც ხანგრძლივი იყო მისი არსებობა, იმდენათ უფრო ძნელია მისი თავიდან მოშორება, იმდენათ უფრო დიდი ბრძოლა და მეტი მსხვერპლია საჭირო მის აღმოსაფხვრელათ. 6 აგვისტოს

კანონის განხილვის დროს ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს ზევით ნათქვამი.

რაც უნდა თქვან რუსეთის ხალხის და საზოგადოთ სლავიანთა მთელი მოდგმის ტომებრივ თვისებებზე, რომლებიც განსაკუთრებითი ხასიათისაა, თვითმპყრობელობის განვითარებისათვის მაინც აუცილებლათ საჭირო იყო განსაზღვრული ნივთიერი პირობები, ანუ საწარმოვო ძალთა განსაზღვრული მდგომარეობა, ე. ი. პატრიარქალურ-ნატურალური წარმოება. მართალია, თვითმპყრობელობის პრინციპი მაგრდებოდა იმ ხანებშიაც, როცა ნატურალურ წარმოებაში დარღვევის პროცესსი დაიწყო და მის ალაგს თანდათან იჭერდა კაპიტალისტური წარმოება, მაგრამ ეს აიხსნება ერთი მხრით იმით, რომ ნატურალური წარმოება მეტათ ნელი ნაბიჯით ირღვეოდა და მეორე მხრით ასეთივე ნელი ნაბიჯით იკიდებდა ფეხს კაპიტალისტური წარმოებაც. თვითმპყრობელობის ხანა გამოვლილი აქვს თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოებს, ვინაიდგან იქაც წარმოიშვენ ისეთი ნივთიერი პირობები, რომლებიც ხელს უწყობდენ მის განვითარებას. ეს იყო დრო შინაური კარჩაკეტილობის, სოფლის ბატონობის, თავად-აზნაურობის პარპაშობის და ძალმომრეობის, საწარმოვო ძალთა განუვითარებლობის, როცა ქალაქი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის არავითარ შესამჩნევ როლს არ თამაშობდა, როცა მშრომელი ხალხის—გლეხ-კაცობის ქონებრივ სიღატაკესთან და დაბეჩავებასთან ერთათ გამეფებული იყო სრული გონებრივი სიბნელე. მაგრამ, როგორც ზევითაც ვამბობდით, საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყინება, ნივთიერი წარმოების პირობები მუდამ იცვლებიან, და მასთან ერთათ იცვლება, რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც მისი შედეგია. ჯერ კიდევ ნატურალური წარმოების დროს ფული თანდათან მეტ მნიშვნელობას იძენს. ფულის შეძენის საჭიროება იზრდება, ეს გარემოება იწვევს აღებ-მიცემობის ზრდას, და აი ჩნდება ნიადაგი კაპიტალისტური წარმოებისათვის. რუსეთის განვითარება საზოგადოთ ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. ის, რაც სხვაგან შედარებით ძლიერ მოკლე ხანში ხდებოდა, აქ იმისთვის საუკუნოები იყო საჭირო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის ბურჟუაზია თანდათან იკრეფს ძალას და ისხამს ფრთებს. აქედან დაწყებული, რუსეთის აღებ-მიცემობა და მრეწველობა ნელ-ნელა და თანდათან არღვევს წინანდელ კარჩეკეტილობას, სამარეს უთხრის ბატონ-ყმურ ურთიერთობას, სპობს სოფლის იდილიურ ცხოვრებას და გულუბრყვილობას, თანდათან უკარგავს მნიშვნელობას და გამავლობას თავად-აზნაურობას, ძირს უთხრის ძველ წოდებას და სამოქმედო ასპარეზზე გამოდის ერთი მხრით ბურჟუაზია და მეორე მხრით ქალაქის პროლეტარიატი. ამ ნაირათ საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსი, საზოგადოებრივი ურთიერთობა ძირიანფესვიანათ იცვლება; მაგრამ ამავე დროს ძველი იურიდიული ნორმები, ბატონ-ყმობის დროიდან დარჩენილი და ნატურალური წარმოების ნიადაგზე აღმოცენებული, თვითმპყრობელობის სახელით ისევ ძალაში რჩება. დღითი-დღე აშკარავდება შინაარსის და გარეგანი კანის, იურიდიული ნორმების ყოვლად შეუსაბამობა. ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტი სიმკაცრით უპირდაპირებს ერთმანერთს ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, როგორც ერთი მეორის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ კლასებს; ამ ნიადაგზე ხდება პროლეტარიატის გათვითცნობიერება, ე. ი. იმის შეგნება, რომ ბურჟუაზიის კეთილდღეობა, მდიდრების ბატონობა და გამავლობა, მუშა ხალხის დაჩაგვრასა და დაბეჩავებაზე არის აშენებული. ამ ნიადაგზე ატეხილი აშკარა ბრძოლა აუცილებლათ თხოულობს წინანდელ იურიდიულ ნორმების გაუქმებას, იმ ნორმების, რომლებიც შემუშავდენ და გამტკიცდენ იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა არსებობდა, როცა სრული კარჩაკეტილობა და ნატურალურ-პატრიარქალური წარმოება იყო. პროლეტარიატს, რომელსაც ისტორიულმა განვითარებამ არგუნა დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობა და სოციალიზმის განხორციელება, არ ძალუძს შეასრულოს ეს დიადი დანიშნულება თუ მან თავდაპირველათ არ დაარღვია ის იურიდიული ნორმები, რომელიც სხვა ისტორიულ ხანას შეეფერებოდა და დღეს კი გზაზე ეღობება საზოგადოებრივი ცხოვრების თავისუფალ განვითარებას. მაშასადამე, აქედან აშკარაა, რომ უწინარეს ყოვლისა ამ დროს გადასულ იურიდიულ ნორმების მოსპობა და სამუდამოთ გაუქმება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამასთანავე არავისთვის საიდუმლოება აღარ არის, რომ ცხოვრებაში ეს ნორმები უკვე გაუქმებულია, რომ ის, რასაც ამ 20—30 წლის წინეთ კიდევ სიცოცხლის ნიშან-წყალი შერჩენოდა, დღეს უკვე მკვდარია ე. ი. არსებული იურიდიული ნორმები, მთელი ჩვენი ძირითადი კანონმდებლობა სრულიად აღარ შეესაბამება ჩვენ დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ცხოვრებამ უკვე შეიმუშავა შესაფერი იურიდიული ნორმები, საჭიროა მხოლოთ მისი საყოველთაოთ აღიარება. მაგრამ როგორც ზევითაც ვამბობდით, ეს ადვილი საქმე როდია. ისტორიული გამოცდილება გვეუბნება, რომ ეს ყოველთვის რევოლიუციით თავდებოდა. რაც უნდა განვითარებული იყოს საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებაში მაინც მოინახებიან ისეთი ჯგუფები, რომლებისათვის ძველი წესწყობილების არსებობა და მისი დაცვა მეტათ ხელსაყრელი და გამოსადეგია. ეს ჯგუფები, რა თქმა უნდა, ყოველთვის გაბატონებული კლასების წარმომადგენლები არიან. ესენი თავგამოდებით იცავენ ძველ წეს-წყობილებას, ყოველგვარ საშვალებას ხმარობენ მისი არსებობის დასაცველათ; მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაც ფიზიკური კანონების ულმობელობით ხდება. ძველი წეს-წყობილების წარმომადგენელთ ანუ მის დამცველთ შეუძლიათ მხოლოდ სხვა-და სხვა გვარი დათმობით დროებით შაეჩერონ ეს ბუნებრივი პროცესსი.

აი ამ დათმობის ხასიათი აქვს 6 აგვისტოს გამოცხადებულ კანონს, ხალხის წარმომადგენელების სახელმწიფო სათათბიროში მოწვევის თაობაზე. ეს კანონი უცვლელათ სტოვებს რუსეთის იმპერიის ძირითად კანონს თვითმპყრობელობის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა იგი მოუწოდებს ხალხის წარმომადგენელებს სათათბიროთ კანონის შესამუშავებლათ. ხალხის წარმომადგენელების არჩევა 6 აგვისტოს კანონით არ ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირ-და-პირი ხმის უფლებით, როგორც ეს სხვა-და-სხვა მოთხოვნებში იყო გამოცხადებული, არამედ იგი წარმოებს ორ-კეცი და სამ-კეცი (ზოგიერთ, შემთხვევაში თითქმის ოთხ-კეცი) არჩევნებით და გარდა ამისა ხმის უფლება ეძლევა მხოლოთ ქალაქის დი სოფლის შეძლებულ ხალხს. მშრომელი ხალხი განსაკუთრებით კი ქალაქის პროლეტარიატი არჩევნებში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებს. მხოლოთ გლეხ-კაცობისათვის არ არის ქონებრივი ცენზი დაწესებული, მაგრამ იმათ წარმომადგენელების არჩევნები (სამკეცი და ოთხკეცი) ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ ეს ცენზე უარესია. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იმ წესით არჩეულ პირებსაც მხოლოთ რჩევის მიცემა შეუძლიათ, რომ მათი აზრი არავისთვის სავალდებულო არ არის, რომ მინისტრები და მთავარ-გამგებელი როგორც სურთ ისეთ მიმართულებას მიცემენ საქმეს, რომ ეს პირები ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატების წინაშე არავითარ პასუხს არ აგებენ,—მაშინ ჩვენ ადვილათ წარ-

მოვიდგენთ, თუ რა ხასიათისაა ეს ახალი კანონი. გარდა ამისა აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ პიროვნების ხელუხლებლობა, ბეჭდვის, სიტყვის კრების და კავშირების თავისუფლება ამ ახალ კანონის გამოქვეყნების შემდეგაც იმავე პირობაში დარჩა, როგორც აქამდის იყო. ცხოვრებამ კი, როგორც ვიცით, დიდი ხანია უარყო ყოველივე ეს და უწინარეს ყოვლისა ყველა ამ თავისუფლებათა განხორციელება იქნა დასახული. აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ 6 აგვისტოს კანონი დღევანდელს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სინამდვილეს სავსებით ვერ ხატავს, და მოითხოვს შეცვლას და განვითარებას, როგორც კანონივე აცხადებს. ერთად ერთი მნიშვნელობა 6 აგვისტოს კანონისა აი რაში გამოიხატება: მარტო ის ამბავი, რომ ხალხის წარმომადგენლები შეიკრიბებიან სახელმწიფო საქმეებზე სჯა-ბაასისათვის იმას მოასწავებს, რომ ბიუროკრატია სამუდამოთ გატყდა, რომ მას სიკვდილის ვერავითარი ძალა ველარ დაიხსნის რომ რაც დრო გაივლის, ეს გატეხა სულ უფრო და უფრო საგრძნობელი შეიქნება. ამაში ვხედავთ ჩვენ 6 აგვისტოს კანონის მნიშვნელობას და არა იმაში, რომ იმის გამოცემით ხალხს, განსაკუთრებით მშრომელ ხალხს, რაიმე ენიჭებოდეს.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

ზავის ჩამოგდება

ამ დღეებში მიღებულმა დეპეშებმა გვამცნეს, რომ ქ. პორტსმუტში (ამერიკაშია) იაპონიის და რუსეთის რწმუნებულთ მორიგებაზე ხელი მოუწერიათო. ჯერ დაწვრილებით არავინ იცის, თუ რა პირობებში მოხდა ეს მორიგება. ცოტა ხნის შემდეგ, ეჭვი არ არის, ყოველივე ეს ისტორიის საგანი გახდება. დღეს კი ჩვენთვის საყურადღებო ის არის, რომ ამიერიდან მანჯურიის მიდამოებში შეწყდება უდანაშაულო ადამიანთა შეუწყვეტელი სისხლის ღვრა, რაც წელიწად ნახევარზე მეტია რომ გრძელდება. რა თქმა უნდა, ეს ამბავი გასახარელია: რამდენი ადამიანი დახსნილ იქმნა სიკვდილისა და ავადმყოფობისაგან! რამდენ დედ-მამას გადაურჩა შვილი, რამდენი ცოლ-შვილი უდროოთ არ დაქვრივდა და არ დაობლდა! რამდენი სიმდიდრე, მუშა ხალხის მიერ შექნილი, გადარჩა დაუღუპავი და გაუფლანგავი! ვინ მოთვლის რამდენი უბედურება, რამდენი ტანჯვა და მწუხარება აცილებულ იქმნა ოთხი რწმუნებულის მიერ ხელის მოწერით. და ნუ თუ ეს გასახარელი არ არის? მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დღევანდელ სიხარულს რაღაც აკლია; დაუფიქრდებით და ადვილათ გაიგებთ, რა არის ამის მიზეზი. მართალია ბევრი უბედურება და მწუხარება იქნა თავიდან აცილებული, ბევრი უდანაშაულო ადამიანი დახსნილ იქმნა სიკვდილისაგან, მაგრამ რაც მოხდა იმას რაღა ეშველება, ვინც სიცოცხლეს გამოესალმა და მანჯურიის მიდამოებში და შორეულ ზღვის უფსკრულში ჩატია თავის ძვლები, ვინც დაობლდა და დაქვრივდა, ვისაც ხელიდან მარჩენელი და იმედი გამოგლიჯეს, იმათ ვიღა უშველის, იმათ ვიღა ანუგეშებს? და აი ჩვენ ვეკითხებით თავის თავს: თუ მოლაპარაკებით შეეძლოთ ყველა ამ უბედურების თავიდან აცდენა, სად იყვენ აქამდის? წელიწად ნახევარი გრძელდებოდა იაპონიასა და რუსეთს შორის მოლაპარაკება სანამ ომი დაიწყებოდა, მაგრამ საქმე მაინც სისხლის ღვრამდის მიიყვანეს! შემდეგ წელიწადი და შვიდი თვის განმავლობაში სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა და ყოველ წუთში შესაძლებელი იყო მორიგების ჩამოგდება, მაგრამ ამაზე ყველა უარს ამბობდა. თითოეული დამარცხების შემდეგ რუსეთის თვითმპყრობელი ბიუროკრატია ახალი სისხლის ღვრისათვის ემზადებოდა ძლიერი და შეუპოვარი მტრის შურის საძიებლათ. და აი ჩვენ კიდევ ვეკითხებით თავს: სად იყვენ აქამდის! რატომ აქამდის არ ჩამოაგდეს მშვიდობიანობა? ნუ თუ ეს მშვიდობიანობა უნდა გვეყიდა ჩვენ ათი ათასობით და ასი ათასობით გაწყვეტილი ჯანსაღი, იმოდენივე დასახიჩრებული და ავათმყოფი მამულიშვილებით? ნუ თუ ამდენ ხანს იმიტომ იცადეს, რომ სრულებით უნდოდათ ფლოტის განადგურება და ჯარის სახელის გატეხა? და აი დღეს შეკრულია ზავი! მაგრამ ვიკითხოთ: რა ფასით? რა დაუჯდა რუსეთის ხალხს ეს ზავი? რუსეთმა დაკარგა რამდენიმე ასი ათასი საუკეთესო მამულისშვილი,—ჩაღუპა ძლიერი ფლოტი, და აუარებელი სიმდიდრე! და ნაცვლათ ამისა დაიმსახურა გაუნათლებელი, ველური და ბარბაროსული ქვეყნის სახელი. აი რა უღირს რუსეთს ეს ზავი? და განა ამისათვის ღირდა ომის დაწყება და იმის წაყვანა? მართლაც რომ არ ღირდა, მაგრამ ვის ენაღვლებოდა სხვისი სიცოცხლე ან სიკვდილი, სხვისი გასაჭირი, სხვისი უბედურება? ყველაფერში განუკითხავი ბიუროკრატია მოქმედებდა თავის სურვილით. მან დაატეხა რუსეთის ხალხს ენით გამოუთქმელი უბედურება. დღეს ომი შეწყვეტილია, მანჯურიის მიდამოებში ჯერ კიდევ კარგა ხას ზარბაზნები აღარ დაიჭექებენ, მაგრამ რაც გატყდა იმის გამთელება ყოვლად შეუძლებელია. ზავის შეკვრით საქმე ჯერ არ არის გათავებული. რუსეთის ხალხმა დაუყოვნებლივ უნდა მოითხოვოს იმის გამოძიება, თუ ვისი წყალობით და რა ზიზეზით დაატყდა მას თავზე ეს ამოდენა უბედურება.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 205)

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ს 170 ნომერში გადაბეჭდილი იყო „ივერიიდან“ ცნობა იმის შესახებ, რომ სოფ. მჭადის-ჯვარში მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 30 კაცი და დაჭრილია 40-ზე მეტიო. ეს რიცხვი გაზვიადებულია. მაზრის ადმინისტრაციის ცნობებით, პირველ დღეს აღმოაჩინეს 7 მოკლული და 12 დაჭრილი, მაგრამ, რადგანაც იმ დროს ყრილობაზე ბევრი სხვა სოფლიდანაც იყო მოსული, მათ შორის გორის მაზრიდანაც კი, და დაჭრილები ცდილობდენ, დამალულიყვენ შესაძლებელია, დაშავებულთა რიცხვი უფრო მეტი იყოს, მაგრამ ასე ბევრი კი არ იქნება. „ივერიის“ მიერ გამოქვეყნებული და „ნოვოე ობოზრენიე“-საგან გადაბეჭდილი ცნობა ალბათ დამყარებულია შეუმოწმებელ ცნობებზე, ამიტომ ამ ორივე გაზეთს წინადადება ეძლევა, ეს განმარტება გადაბეჭდოს.

სოფელ მჭადის-ჯვარში მომხდარ სამწუხარო შემთხვევის გარემოება შემდეგში მდგომარეობს: რადგანაც ამ სოფლის გლეხები ღალის მიცემაზე უარს ეუბნებოდენ თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, 31 ივლისს მაზრის უფროსმა გაგზავნა ამ სოფლებში ბოქაული, რომელსაც დაევალა, სხვათა შორის, სამი გლეხის დატუსაღება, რომლებიც სოფელს აქეზებდენ, მემამულეს არაფერი მისცეთო. ეს გლეხები რომ დაიჭირეს, სოფელ მჭადის-ჯვარში გლეხებმა შეჰკრიბეს 300 კაცი და დატუსაღებულნი ძალით გაანთავისუფლეს. მაშინ სოფელში გაიგზავნა ქვეითა ჯარის ნახევარი როტა და რამდენიმე კაზაკი, რომელთა დახმარებითაც გლეხებს გადაახდევინეს მემამულის კუთვნილი ღალა, მაგრამ ხალხის მიერ განთავისუფლებულმა სამმა გლეხმა დამალვა მოასწრო. ხალხმა თან წაიყვანა აგრეთვე მოსამსახურენი, ორის გარდა. 3 აგვისტოს მემამულის სახლთან დილიდანვე შეიყარა თავი ხალხმა. სოფ. მჭადის-ჯვრის გარდა იქ იყვნენ არამც თუ დუშეთის მაზრის სოფლებიდან, გორის მაზრიდანაც აი.

შუადღისას მემამულის ალაყაფის კარებთან თავი მოიყარა ათას კაცზე მეტმა, რომლებიც თხოულობდენ წინა დღით წაღებულ ღალის დაბრუნებას, ამასთან ჰყვიროდენ და კეტებსა და ორთითებს ხელში ატრიალებდენ. პატარა ხანს უკან, იმ ადგილას მივიდა მაზრის უფროსი. გლეხებმა მაზრის უფროსს კატეგორიულათ და უკმეხათ განუცხადეს, ჩვენ

შევიყარენით, რომ წავართვათ უკანვე მემამულეს ლალები, რადგან ამის შემდეგ მემამულეებს აღარაფერს მივცემთო. მაზრის უფროსი ბევრს ეცადა, ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და, როდესაც პოლკოვნიკმა ფონ-ბაუმგარტენმა გააფრთხილა ხალხი: იძულებული ვიქნები იარაღი ვიხმაროო, ხალხი მას გარშემო შამოერტყა და მისი და ბოქაულის ცემა მოინდომა. მაშინ მაზრის უფროსმა წინადადება მისცა კაზაკების აფიცერს, ხალხი გაეფანტა. აფიცერი უკაზაკოთ მიუახლოვდა ცხენით ხალხს და სამჯერ სთხოვა დაშლილიყვენ, მაგრამ პასუხათ ქვები დაუშინეს. აფიცერი გამოტრიალდა, გაამწკრია კაზაკები, უბრძანა, ხმლები ეშიშვლათ და ამ გვარათ გაემართა ხალხისკენ, ამ დროს ერთი გლეხი მივარდა აფიცერს ორთითით და უნდოდა დაერტყა, მაგრამ ცხენი ყალხზე შესდგა და აფიცერს ორთითი ასცდა, მაგრამ თავში ქვა მოხვდა და ცხენიდან გადმოვარდა. აფიცერი წამოვარდა ბრძანება გასცა, ხალხისათვის ესროლათ. 22 კაზაკის გარდა იქ იყო ქვეითა ჯარის ნახევარი როტა, პრაპორშჩიკის უფროსობით. ერთი ვზოდი და აფიცერი მასთან გაგზავნილი იყო მემამულის სახლ-კარის დასაცავათ, დანარჩენები კი კაზაკებთან ერთათ იყვნენ. ქვეითა ჯარს სროლა არ დაუწყია. სროლის შემდეგ ხალხი გაიქცა. ამის შემდეგ ცნობები მოვიდა, 300 კაცზე მეტი მთებიდან სოფელში მიდის გლეხების დასახმარებლათო. აფიცერი კაზაკებით მათ წინ შეეგება და გაფანტა ისინი, ხალხმა ზარების რეკა ასტეხა და ამით უნდოდათ დასახმარებლათ ქ. დუშეთიდან ხალხი მოეკრიბათ, მაგრამ მიზანს ვერ მიახწიეს. დაიჭირეს ერთი, რომელიც ხალხს აღელვებდა.

შეტაკების დროს როგორც ჯერ-ჯეროობითაა გამოკვლეული, გლეხებ-შორის დაშავდა 19 კაცი. მოკლულია 8 და დაჭრილია 12. ამასთან მოკლულთა რიცხვში სოფელ მჭადის-ჯვარის მცხოვრები მხოლოთ სამია. მეორე მხრით აფიცრის გარდა დაშავებულია ორი კაზაკი და დაჭრილია კაზაკების რამდენიმე ცხენი. დაშავებულთ პირველი დახმარება აღმოუჩინა კაზაკთა რაზმის ფერშალმა, ხოლო ღამე მოვიდა მაზრის ექიმი, რომელმაც ყველას ხელ-ახლა შეუხვია ჭრილობები.

5 აგვისტოს იმ ადგილას მივიდა გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახვარი. რადგანაც გლეხები მემამულის სახლ-კარს განადგურებას უქადიან, იქ ჯარსს ერთი რაზმია ჩაყენებული.

8 აგვიტოს დღისით, სოფელ მჭადის-ჯვარიდან სამი ვერსის მანძილზე მიმავალ ერთ სტრაჟნიკსა და ორ კაზაკს საფარიდან თოფები დაუშინეს. ერთი კაზაკი იქვე მოკლეს, მეორეს ცხენი დაუჭრეს.

10 აგვისტოს მჭადის-ჯვრის გზაზე ორი ტყვიით დასჭრეს თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

რადგანაც გორის მაზრის თავად-აზნაურები აცხადებენ, რომ მათ მოკვლას უქადიან და ძალას ატანენ გაზეთებში გამოაცხადონ, რომ თავის ნებით გლეხებს უთმობენ სანადელო მიწებს და თანახმანი არიან საკუთარ მიწებში მეოთხედის მაგივრათ მეათედი მიიღონ, გორისა და დუშეთის მაზრებში ნამესტნიკის მიერ გაგზავნილი გენერალ-ადიუტანტი თავ. ამილახვარი აცხადებს, რომ ამგვარ ცნობებს ყველა სიფრთხილით მოეპყრას.

—

რევოლუციონური მოძრაობა პოლონელებსა და ებრაელებში.

ოფიციალური ცნობა.

(რუსეთის საგენტოს დეპეშა)

ვარშავასა და მის მაზრაში სამხედრო წესების გამოცხადებისა გამო, პოლიციის დეპარტამენტმა დაბეჭდა ებრაელთა „ბუნდისა" და დასავლეთ მხარეში მცხოვრებ რუსთა სოციალ-რევოლიუციონერების ისტორია, იმ დროიდან, რაც შარშან, რევოლიუციონერები შეთანხმდენ ერთათ სამოქმედოთ. დეპარტამენტი აღნიშნავს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ვარშავის არქი-ეპისკოპოსის პოპელისა და სხვა გონიერ პოლონელთა რჩევა-დარიგებამ ვერ გასწრა და მოძრაობას ბოლო ვერ მოუღო. უველაზე საეურადღებოა ის უწესობანი, რომელებიც ბელოსტოკსა და შემდეგ ვარშავაში მოხდა. 30 ივლისს, ბელოსტოკში შენიშნეს ორმოცამდე უსაქმო ახალგაზდა ებრაელი, რომლებიც უწესობის დაწყებამდე ვარშავიდანა და ლოძიდან ჩამოვიდენ. ამ დღეს, ნაშუადღევის, ახე, სამ საათზე, სამასამდე ებრაელი უცბათ ქუჩაზე გამოიფინა. მათ მეთაურობდა ებრაელივე. ბრბომ მუქარით მიაშურა სურაჟის ქუჩაზე მდგომ ჯარისკაცს, რომელმაც თავის დასაცველათ იარაღს მიჭმართა და ერთი ებრაელთაგანი დასჭრა. ბრბოს გასაფანტავათ მალე მოვიდა ორიგე როტა, აფიცრის მეთაურობით. როტას უუმბარა ესროდეს. დაიჭრა სამი ჯარის კაცი. როგორც კი გავარდა აფეთქების ხმა, თითქო ეს ნიშანი ყოფილიყოს, სახლის სახურავებსა, ფანჯრებსა და გამოსავალ კარებიდან ასტეხეს რევოლვერების სროლა. ესროდენ პოლიციელთ და მათ გვერდით მდგომ ჯარის-კაცებს, ესენიც იძულებული შეიქმნენ სროლა დაეწყოთ, რასაც შედეგათ 35 მოკლული და დაჭრილი მოჰყვა. 30 ივლისს ბელოსტოკში დახოცილთა პატივსაცემლათ ვარშავის სარეკოლიუციო ორგანიზაციებმა საძაგელი შინაარსის პროკლამაციები გამოსცეს და ყველას იწვევდენ, რომ 5 აგვისტოს საერთო გაფიცვა და დემონსტრაცია მოეხდინათ. ამასთანავე პოლონეთის სოციალისტური პარტია იუწყებოდა, რომ მისმა მებრძოლმა ორგანიზაციამ ოპატოვის ხაზინის გაძარცვა მოახერხა და და ათი ათას მანათზე მეტი წაიღო. ხაზინების გაძარცვა უნდოდათ აგრეთვე ქ. ქ. ვენგეროვსა და ლიუბარტოვში, მაგრამ ვერ მოუხდათ, მხოლოთ ხაზინის დამცველთაგან რამდენიმე კაცი იქმნა მოკლული. 4 აგვისტოს სადამოთი პორველათ ზეინკლები გაიფიცენ. 5 აგვისტოს დიდი მხოლოთ ზოგიერთი ფაბრიკებიდა მუშაობდენ, ნაშუადღევ კი მუშაობა ყველგან შესწყდა. ამავე დროს ვიღაცამ ტელეფონით უბრძანა ვაველბურგის საბანკო კანტორას მუშაობის შეწყვეტა. ასეთივე მოთხოვნილება წარუდგინა სამმა უმაწვილმა კაცმა უფოტნი ბანკასაც, მალე ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებანიც დაიხურა. განზრახვა ჰქონდათ ქუჩაში ეტლების მოძრაობაც შეეჩერებინათ და ტელეფონის მავთულები დაეჭრათ, მაგრამ პოლიციის ზომების მოხერხებით, ვერა გაეწყეს-რა. 6 აგვისტოს, სადამოს 7 საათზე. ხანჯლით დასჭრეს უბნის ზედამხედველი. 8 საათზე სამმა კალატოზმა დანით რამდენიმე ადგილს დასჭრა თავისივე ამხანაგი, რომელმაც წინა დღით გაფიცვაზე უარი განაცხადა. რვა აგვისტოდან უწესობა უფრო გამწვავდა. პრივისლანის რკინის გზის სადგურ ალაგოს მახლობლათ მეოთე ფაბრიკების ხუთასამდე მუშა მივიდა რკინის გზის სახელოსნოებში და მუშაობის შეწყვეტა მოითხოვა. აქედან მუშები გაჰყვენ დიანდაგს, შეაჩერეს ორთქმავალები, წაახდინეს ტელეგრაფის აპპარატები, დასწეტეს მავთულები და მოსამსახურენიც განდევნეს. ნოვო-გიორგიევსკიდან მომავალი სახალხო მატარებელი ბრალაში გააჩერეს და ვარშავაში შესვლის ნება არ მისცეს. ასევე მოხდა ბრესტ-ლიტოვსკის რკინის გზის სადგურ ვარშავაზედაც. მემანქანეთა გაფიცვის გამო, ვარშავიდან მლავასა და კოველამდე მატარებლების მიმოსვლა შესწყდა. სადგურს ჯარი იცავდა. 9 აგვისტოს ვარშავისა და მის მიდამოების ყველა ქარხნებმა მუშაობა შესწყვიტეს. რევოლიუციონერები ამ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდენ. ძალით დააკეტინეს კერძო ბანკები, სახელმწიფო ღვინის საწყობები, მოსპეს ვაჭრობა და რკინის გზაზე მიმოსვლა სავსებით შეაჩერეს. რამდენჯერმე თავგამოდებითა სცადეს ქუჩებში დემონსტრაციისა და უწესობების მოხდენა, რის გამოც პოლიციასა და ჯართან შეტაკება უხდებოდათ.

სოციალ-დემოკრატების ზე-გავლენის ქვეშ, ტერორი თვით მუშათა შორისაც კი გავრცელდა. საკვირო მოვიხსენიოთ, რომ მუშები იძულებული შეიქმნენ თავის ამხანაგთა უკიდურესი ზომები დაეგმოთ და წინ ადხდგომოდენ. მაგალითათ ერთმა საიდუმლო მომქმედმა ორგანიზაციამ პროკლამაციები გამოსცა და სთხოვა ამხანაგებს, ძალას ნუ დავატანთ იმათ, ვისაც გაფიცვა არ უნდათ. მეორე—სიონისტ—რევოლიუციონერ ხასიათის ორგანიზაცია პროკლამაციებითვე იუწყებოდა: ის, ვინც ძალდატანებით აგრეთვეს ფუდებს, ჩვენი მომხრე არ არისო. პოლონეთის ხელოსანი ახალგაზდობა სთხოვდა თავის თანამემამულეთ: სოციალისტები ტერორს ნუ თანაუგრძნობთო. მაგრამ ამ მოწოდება და დარიგებებმა ვერ გასწრეს. ებრაელთა და პოლონელთა სოციალ-რევოლიუციონური პარტიები თანხმობით მოქმედებდენ და მედგრათ პროპაგანდას ეწეოდენ. ივლისის მეორე ნახევარში ებრაელთა „ბუნდმა" დიდი უწესობანი

მოსდინა ბერდიჩევსა, დიუბლინსა, კოვნასა, ბელოსტოკსა, ეკატერინოსლავსა და დასავლეთ რუსეთის სხვა ადგილებში, რასაც სამხედრო წესის შემოღება მოჰყვა.

—

რევოლიუციონური მოძრაობა დასავლეთ რუსეთში.

ოფიციალური ცნობა

(პეტერბურგის საგენტოს დეპეშა).

ბალტიის მხრის დატიშების საზოგადოებრივი მოძრაობა წარსულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო. დღევანდლამდის მხოლოთ ადგილობრივ თვითმართველობის მოხელეებს ცდილობდენ, მაგრამ 1903 წლიდან დაიწყეს მოქმედება სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ლატიშელ-მუშათა კავშირმა; ამათ მოქმედებს რევოლუციონური ხასიათა მიეცა და ამ მოძრაობამ უკიდურესობამდის მიადწია ამ წლის ბირველ თვეში.

თუ რა ზომებს ხმარობდენ რევოლუციონერები მოავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს,—ნათლათა ჩანს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე ერთის კაცის-მიერ გაგზავნილ სახიერიდან. მოჩივანი იუწყების, რომ ბრბო ძალის-ძალათ ათრევდა თავის წრეში ქუჩაში მიმავალთ. მოსამსახურე ბერთ და ნამეტნავათ ბოდიციელთა მოკვლის განზრახვა—მათი გეგმაა. დიუფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიაში მოკლეს ოთხი მოხელე, თავს დაეცენ ოთს კერძო კაცს და ორი მათგანი მოკლეს; თავს დაეცენ აგრეთვე ბოდიციელებს ექვსჯერ, ბატრულებს—სამჯერ. მოძრაობა გადავიდა მაზრებში. აქაც ანარქისტური მიმართულება ქონდა; მოკვლა, გადაწვა, მატარებლების დიანდაგიდან გადაგდება, რკინის გზისა, ტელეგრაფისა და ტელეფონების გაფუჭება, აგიტატორთა ხელში მეოთო მკვიდრთა ტერორიზაცია და სხვ. მარტში მოძრაობას ჯერ საერთო ხასიათი არა ქონდა მიდებული. მოძრაობა გაფართოდა უცებ ახალ აგიტატორთა მოსვლით, რომელნიც, ადგილობრივ აგიტატორთა დახმარებით, აქეზებდენ ქარხნისა და მინდვრის მუშებს მოეთხოვათ ხელფასის მომატება, სამუშაო დღის შემოკლება და სხვა. აპრილის მეორე ნახევარში მოძრაობამ თავი იჩინა დიფლიანდიის გუბერნიაში, ნამეტნავათ კი კურლიანდიის გუბერნიის ვონდენსკისა და გაზენპოტსკის მაზრებში. აპრილში დემონსტრაციები დოტრანგთა ეკლესიაშიაც კი ხდებოდა. უდიერათ ბღალავდენ მღოცველთა სარწმუნოებრივ გრძნობას, მდვდლებს კი ცემდენ და საყდრიდან გარეთ ერეკებოდენ. მაისსა და ივლისში დემონსტრაციები თითქმის ყოველ კვირა ხდებოდა დიფლიანდიის გუბერნიის ვენდენისა და რიგის მაზრებში და აგრეთვე კურლიანდიის გუბერნიის მიტავობასუსის მაზრაში. აქაც მოქმედებით შეურაცხყოფას აყენებდენ იმ მდვდლებს (პასტორებს) რომლებიც დემონსტრანტების მოთხოვნილებათ არ ასრულებდენ, სწვავდენ მემამულეთა სახლკარს და ორჯერ შეეცადენ რკინის გზის გაფუჭებას. ვინაიდან რამდენიმე ადგილს ეკლესიები წაიბილწა, ივნისში, კონსისტორია იძულებული შეიქმნა განკარგულება მოეხდინა ეკლესიების დროებით დახურვის შესახებ, მაგრამ რევოლუციონერები ეკლესიებში დემონსტრაციებს მაინც ახდენდენ. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს დემონსტრაციები ხდებოდა მუშათაგან, სარევოლუციო ორგანიზაციების წაქეზებით. 1 ივლისს, დიბავაში, იმ დროს, როდესაც პასტორი მღოცველებს სამღვთო წერილს უხსნიდა, საყდარში შეავიდა ექვსი კაცი, პასტორს გვერდით ამოუდგა და უწმაწურათ გადაკეთებული ლოცვა წაიკითხა, ხოლო, როდესაც მდვდელმა გარეთ გასვლა თხოვა, იგი დანით დაჭრეს. დიბავაშივე განიზრახეს ბორდოგოის მოკვლა. 15 ივლისს პრაუფელის ტეუში ჩასულთ ერეკა ბრბომ, რომელსაც დაუჭრეს ურიადნიკი, მოუკლეს ათიცერი და სამი ტხენი. 16 ივლისს, ბოლმარის მაზრის ლიდერნის ბაზრობაზე მოკლეს პოლიციელი და ურიადნიკი, მეორე დღეს, ვენდენშიც იპოვნეს გვამოკლულის ურიადნიკისა. 22 ივნისს ბამოჟნის მოხელეებმა შეიპყრეს ვიდაც უცნობი, რომელსაც გერმანიის გემიდან ერძალულ გამოცემათა მთელი ტრანსპორტი გადმოქონდა. რიგა ეუნდრომს და სტრაუნიგს ეს დამნაშავე ციხეში მიეყვანა, [illegible] სროდა ასტეხეს. მძიმეთ დაიჭრა თვით დამნაშაული და სტრაუნიკი. ივნისის გასულსა და ივლისში მოძრაობა დიფლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიების სოფლებსაც მოედო და საშიშარი სახე მიიღო. ამ დროს მოჰკლეს მაზრის უფროსის თანაშემწე შმიდტი. მთელის თვის განმავლობაში კიდევ რამდენიმე მკვლელობა მოხდა. 29 ივნისს მოკლეს დიბავის მაზრის გლეხთა კომისარი, ხოლო 17—მემამულე ბარონი ადოლფ ბისტრონი. 12 ივლისს მოძრაობა დაიწყო რიგის მაზრაში—სადგურ რობერგოვის მახლობლათ რვა მამულში და სადგურებ კოკუნგუზენისა, რინმუნგსდორფისა და ესკვეველბოდშის მახლობლათ—14 მამულში. მოძრაობის გავრცელებას ხელი შეუწყეს რიგიდან მოსულმა აგიტატორებმა. მოძრაობამ უველაზე უფრო თავი იჩინა რიგისა და ვონდენის მაზრებში 10—13 ივლისს. ადგილობრივი მოავრობა იუწყებოდა, რომ მაზრაში სრული ანარქია. ვინდენის მაზრის ოტენის ბოლოსტის სამმართველოში დახიეს მეფის სურათები, მამასახლისსა და მწერალს კი წითელი დროშები ატარებინეს. კურლიანდიის გუბერნიაში ბორტ მომქმედებმა გადასწვეს ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები. რევოლიუციონერების მეთაურობით გლეხთა მოძრაობა დაიწყო დუბლენისა ვინდავისა, მიტავობაურისა, ფრიდრიხშტადტისა, ტუკუმისა» გოდინგენისა და გრობინსკის მაზრებში. ადგილ ადგილ ჭირნახული მინდვრებში დარჩა. შეიარაღებული ბრბოები მინდვრებიდან მუშებს ერეკებიან, რევოლვერებს ესვრიან, თავს ესხმიან მემამულეთა სახლ-კარს, სწვენ ძნებს, შენობებს, სოფლის სასამართლოთა ჯარში გასაწვევთა შესახებ სიბუთის ქაღალდებს. ამ ბოლო დროს მოძრაობის რამდენიმე მეთაური შეიპყრეს. ადმინისტრაციის აზრით, მოძრაობა საშიშარი ხდება და მწვავდება რიგიდან მოსულ აგიტატორთა მეოხებით. რიგაშიც საქმე ძალზე გამწვავებულია. ზემოთ ჩამოთვლილმა ამბებმა მოავრობა იძულებულ ჰყო კურლიანდიის გუბერნიაში სამხედრო წესები გამოეცხადებინა.

სხვა და სხვა ამბები.

— ჭიათურიდან იწერებიან, რომ შავი ქვის წარმოებამ შესამჩნევათ იმატა ბოლო ხანებშიო.

— დუშეთის მაზრის თავად-აზნაურებს ათს აგვისტოს საგანგებო კრება მიუხდენიათ. გაზეთ „ივერიის“ სიტყვით თავად-აზნაურებს კომისია აურჩევიათ, რომელმაც ენდა იშვამ-დგომლოს ნამესტნიკის წინაშე: «გლეხები დაუყოვნებლივ გადასახლებულ იქმნან თავად-აზნაურთა მიწებიდან». კომისიას შეადგენენ: ივ. გ. ამილახვარი, გრ. ზანდუკელი, ვ. ხიმშიაშვილი და გენერალი ჭილაშვილი.

— როგორც დუშეთიდან გვატყობინებენ, 10 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, მოჰკლეს ძალისელი მემამულე ივანე დიმიტრის-ძე მუხრანსკი, როდესაც იგი დუშეთიდან თავის ნათესავ მუხრანსკისთან ერთათ სახლში ბრუნდებოდა. როცა მგზავრები მჭადის-ჯვარსა და წილკანს შუა ტყეში შესულან, საიდანღაც სამჯერ თოფი გაგარდნილა. ერთი ტყვია მოხვედრია მუცელში, და მეორე—უბეში, სადაც რევოლვერი სდებია, რევოლვერიც გავარდნილა და მკლავში დაჭრილა. დაჭრილი გზაშივე გარდაიცვალა.

— საშინელი ამბავი მოდის შუშის მაზრიდან. სომხეთისა და თათრების შეტაკება ნამდვილ ბრძოლათ გადაიქცა. 17 აგვისტოს, როგორც «აუშა ლუის»ის რედაქტორს ატყობინებენ, მოუკლავთ 11 სომეხი და 34 თათარი. ამ ამბავს საშინლათ გაუბრაზებიათ თათრები და დარევიან შუშას. ქა-

ლაქში განუწყვეტელი სროლა და თოფ-რევოლვერების ჭახა-ჭუხია. გუბერნატორი ყაზახ-რუსებით თითონ წასულა შუშაში. ჯარში არიან მოკლულები და დაჭრილები. ქალაქში ბევრგან ცეცხლი პრიალებს, იწვის მთელი უბნები, ალი მოედო შუშის, ჯებრაილის და ზანგეზურისს მაზრებს. არსად აღარ ინდობენ ერთმანეთს სომხები და თათრები. სადგურზე «ნადეჟდას» ამხანაგობამ დაკეტა თავის კანტორა. რკინის გზის მოსამსახურენი შეიარაღებას თხოულობენ.

— 9 აგვისტოს სოხუმში, როგორც „ს. ვესტ.“-ი გადმოქვცემს, ერთ მატროსს ქუჩაში „ჩესტი“ გაუკეთებია აფიცრისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და ისე გაუვლია. მაშინ მატროსი მისულა და ლაკითხნია, რატომ ყურადღება არ მიაქციეთ ჩემ „ჩესტს“ და პასუხი არ ვამეცითო. აფიცრის განკარგულებით, მატროსი დაუპატიმრებიათ.

— სამხედრო სამართალში მიუციათ ჭიათურის მცხოვრებნი აზნ. პლატონ და შალვა ჯაფარიძენი, სევასტიან სანაძე, სარდიონ კაპანაძე, იოსებ კირკიტაძე და დიაკვნის შვილი მიხეილ ვაშაძე. ამათ ბრალდებათ სხვა და სხვა დანაშაულობის ჩადენა 24—25 თებერვალს ჭიათურაში; სახელდობრ— მკვლელობის განზრახვა, სასიკვდილოთ დაჭრა, სახლის გადაწვა და სხვა. საქმე საომარ დროის წესებით გაირჩევა (კავ.).

დაბა-სოფლის ამბები

კახეთი, (სოფ. გრემი). 8 ამ თვეს, შუადღის 12 საათზე ს. გრემში სამწუხარო ამბავი მოხდა. ამას წინეთ აქ მოვიდა მიწის მზომელი ერთი სადაც ტუის დასამეჯნავათ, რის წინააღმდეგი იყო გრემის გლეხ-კაცობა და არ უშვებდა ეზელეს ტუეში. აი ამ დღესაც ცადა მან თავის საქმის შესრულება, მაგრამ ხალხი გადუდგა წინ ტუეში მიმავალს და თხოვა უკან დაბრუნება... მიწის მზომელი გაჯიუტდა და საშველათ მოიხმო ჩვეულებრივი ძალა—ყაზახები (ესენი რამოდენიმე ხანია გრემში იმყოფებიან). რამოდენიმე წამის შემდეგ გაისმა ბრძანება ბოქაულ-გედევანაშვილისა:—„ესროდეთო“! და, და რასაკვირველია, შესრულებულ იქმნა. ხალხი გაიფანტა მაგრამ უკვე ეიო: დახოცილი ადმოჩნდა ხუთი სული: ორი დედაკაცი, ერთი 14 წლის ქალი და ორიც მამაკაცი. გარდა ამისა დაჭრილია 8 რამოდენიმე ზოგის გადარჩენა საეჭვოა. დახოცილების დასაფლავება მოხდა 10-ში რასაც აუარებელი გლეხ-კაცობა დესწრო. კუბოებს ამკობდენ გვირგვინები სამგლოვიარო წარწერებით. თელავიდან გაიგზავნა სამი გვირგვინი. სასაფლაზე წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა.

ამავე დღეს თელავში, ფერისცვალების ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი დახოცილ გლეხების მოსახსენებლათ. ხალხი ბლომათ დასწრო. ამ დროსთვის მთელი ბაზარი დაიკეტა, პანაშვიდის გათავებისას წარმოსთქვეს სიტყვები.

9 ამ თვეს დანიშნული იყო თელ. კლუბის დარბაზში კონცერტი, რომელიც აქაურმა ახალგაზდობამ გადაადებინა გამგეების სხვა დღისთვის, გრემში მომხდარ უბედურების გამო.

მეოცე საუკუნე.

—

გურია. სულ ორი სამი წელია რაც გურულებმა შედგეს შემეცნების ჭეშმარიტ გზაზე ფეხი და ამ ტოტა ხნის განმავლობაში ისინი შესამჩნევი სისწრაფით წავიდენ წინ და თვალსაჩინო ცვლილება მოახდინეს თავის ცხოვრებაში. ყოველგვარ ბიუროკრატიულ დაწესებულებას სრული უნდობლობა გამოუცხადეს; რადგანაც ყველა დარწმუნდა, რომ ასეთი დაწესებულება მათთვის მავნებელი იყო და არა სასარგებლო. საინტერესო ის არის, რომ არამც თუ სასამართლოს და პოლიციას გამოუცხადა ხალხმა უნდობლობა, არამედ მან დღევანდელ სკოლებსაც ზურგი უჩვენა. „არ გვინდა, არ გვსურს მაგნაირ სკოლებში თავის ტანა და მოშუნობა“—ერთ ხმათ შეჰკივრეს პატარა მოწაფეებმა მშობლებისა-ერთათ და სკოლა მიატოვეს. ამას წინათ ჩამოიარა სასწავლებელის ზედამხედველმა და გამოუცხადა ხალხს: „დავიწყოთ სწავლა, როგორც თქვენ გინდათ ისე იქნება, ქართულსაც ბევრს ვასწავლიო და რუსულსაც“, —მარა ხალხი კვლავ უარს აცხადებს, დღევანდელ პირობებში არც ჩვენ და არც ჩვენს შვილებს სწავლა არ სურს, თქვენ ნუდარ წუხდებით, ჩვენ თითონ რაგორც გვინდა ისე მოვაწყობთ სწავლის საქმესო. დიახ, რაც დრო გადის ხალხი უფრო და უფრო რწმუნდება თავის ძალაში და ადარავის თხოვს აბეკუნობას. მაგრამ აქვე უნდა ადვნიშნოთ ერთი საშიშუნარო გარემოება. „რამდენი არ ეცადა გურულმა ხალხმა, რომ ქურდობა და ავაზაკობა მოსპობილიყო, მაგრამ დღემდის ვერას გახდა. აქა-იქ, მაინც გაიგონებთ უსიამოვნო ამბავს, რომ სადმე ვისმეს დაეცენ გაცარცვეს და გაქურდესო. რა კი არავითარმა საშველებამ არ იმოქმედა ჩვენებურ ხულიგანებზე, ამ ბოლოს ხალხი იმ აზრს დაადგა, რომ ასეთი მოუსვენარი ხულიგანი სხვების სამაგალითოთ დავსაჯოთო!...

ამ ბოლო დროს საზოგადო ფერხულში მამა კაცებთან ერთად დედაკაცებიც ჩაებენ, იმაო

აირჩიეს ათისთავ-ასისთავები და თუ ქალებს შორის მოხდება რამე საეჭვანაგო საქმე გასარჩევი ისევ ქალები არჩევენ და აწესრიგებენ. ერთ ოზურგეთელ ქალს, რომელიც ცუდი ეოფა-ქცევის ქალათ იყო ცნობილი და რომელსაც ბევრი უდანაშაულო მსხვერპლი ჩაუვლია ბათუმში და გაუყიდია—სამუდამოთ დასაჯეს.

მოხდა აგრეთვე ოზურგეთის უფლა ეტლების მეეტლეთა კრება, სადაც ერთხმათ დაადგინეს: არავის ნება არა აქვს ფაეტონში ოთხი კაცის მეტი ჩასვას თუ გასაჯარი იქნება შეიძლება მეხუთეს კოზლა დაუთმონ. თუ ვინიცობაა გზაზე ვინმე ძალათ ჩაუდებს იმისი სახელი და გვარი უნდა ჩაიწეროს მეეტლემ და მისი ვინაობა გამოაცხადოს.

სილია.

—

საჩხერეს მხარე. საჩხერე ძალიან მოძრავი და ტოტხალი დაბაა. ის ბაზარია მთელი რაჭისა და ახლო-მახლო სოფლებისა. აქ მოაქვთ სხვა და სხვა ხორბლეულობა, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში რაჭველები ეიდეულობენ. ხშირათ შეხვდებით ქარავანივით გამბულ რაჭველების ცხენებს სამინდით სავსე ტომრებით დატვირთულს. ამას წინეთ ერთმა შექეიფიანებულმა თავადთავანმა ჩამოირბინა შუა ბაზარში ეკირიდით: „ეი, თქვე დემოკრატიის ასისთავებო და ათის თავებო! აბა ვინც ბიჭი ხართ გამოდით, მე გამისწორდითო“.

იქვე ახლო დატვირთული ცხენებით რაჭველები მიდიოდენ. „ჩვენი ქვეყნის რაინდმა“ უეცლა ამათ და შეუტია, თან რამოდენიმე ჯერ მოირახიც გადაკრა. რაჭველებმა ეს არ დასთმეს. კნიაზს ძმა წამოეშველა და ასტეცა ერთი ადიაქოთი, რის შედეგიც ორი მოკლული ცხენი ადმოჩნდა რაჭველების მხრივ, ხოლო თავ-ბირის მტვრევა კიდევ სხვა. ახმაურდა ბაზარი, გამოეფინა ხალხი და ჩვენმა რაინდებმაც მოუსვეს შინისკენ რაჭველები სოფელ უქმერიდან იყვენ. ამ სოფლის გლეხები ძალზე იმუქრებიან, ჩვენ არ შევარჩენთ საჩხერელ თავადებს ჩვენი მეზობლების ტემასო.

დაბა საჩხერეს მახლობლათ მდებარეობს საკვარაკო მამული აზნაურ აბაშიძეებისა სახელათ დურეკი. ამ „დაჩს“ კარგა ბლომა სოფლები ახვევია ირგვლივ. სოფლელებმა მოიწადინეს ბირდაბირი გზის გაკეთება სოფელ ჭალის ტყემდის. ეს ორი სამი წელიწადია თხოვენ აზნაურ აბაშიძეებს, გზის გაკეთებას ნუ დაგვიშლიო, მაგრამ ვინც დურეკის გზაზე გაიფლიდა აბაშიძეები ფასს ახდევინებდენ. დღეს კი ერთობის ძალით გლეხებმა გაატარეს ურმები ბირდაბირ. ეს თავხედობა გლეხებისა რამოდენიმე აზნაურს არ მოე-

წონა და ყაზახ-რუსები ამოიყვანეს გლეხთა დასაწყნარებლათ, მარა ამით ვერას გახდენ. გზა მაინც გაიყვანეს გლეხებმა.

ამას წინეთ ექვს რაჭველ გლეხ-კაცს საქონელი გაეყიდათ და შინ მიდიოდენ. გზაზე ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დახვდრიან და ყველანი დაუხოციათ. ამ საზიზღარი საქმის მონაწილეთ ერთ აზნაურს ასახელებენ გვარათ ბაქრაძეს, რომელიც უკვე დაჭერილია. იმედი აქვთ ყველანი იპოვონ.

შაქრო ჯავახიშვილი.

—

სოფ. ოფშკვითი. ექვს აგვისტოს სოფელ ოფშკვითში შემდეგი ამბავი მოხდა: ნაშუადღევის ხუთ საათზე ოფშკვითის მცხოვრებნი ერთი გლეხის ეზოსთან შეიკრიბენ. ეს გლეხი სოფლებს ფიცრის ქურდათ მიაჩნდათ. შეშინეული გლეხი არხეინათ დადიოდა ხალხში და არც კი იცოდა თუ რისთვის იყო შეკრებილი ამდენი ხალხი. ბოლოს, როდესაც ხალხის ამორჩეულმა პირმა განუცხადა ბრალდება, გლეხმა თამამი შეხედულობით და მაგარი სიტყვით მიიპატიჟა ხალხი ეზოში გასაჩხრეკათ. რამდენიმე ხნის შემდეგ გლეხებმა მიიტანეს ეჭვი ერთ ადგილზე, დაკრეს ბარი და მიწიდან ამოყარეს ექვსი დერი ფიცარი. „გამოჩნდა ნაქურდალიო“, გაისმა, ხალხში ხმა და ქურდს ყვითელი ფერი გადაედო. ის გატყდა და ხალხის რჩევით თავისი ამხანაგებიც დაასახელა. ორი მათგანი მკვდარია და ერთი კი ცოცხალი. ხალხს ძლიერ ესიამოვნა აგ-კაცების აღმოჩენა; მოწყენილი იყო მხოლოთ სოფლის მამასახლისი, რომელსაც ისიც კი წამოცდა: ქურდი მთავრობას წარუდგინოთ დასჯელიო. იმ საღამოს ქურდს იარაღი ახადეს და თავისუფლება მისცეს. მეორე დღეს, ნაპარევი ფიცრებით დატვირთულ ურემზე ქურდი გლეხი დაესვათ და აყარებული ხალხის თანადასწრებით ეკლესიაზე მივიდენ. იქ მათ კიდევ სამასამდე კაცი შემოეგებათ. გააჩერეს ურემი. ამ დროს შედგა ურემზე ის პირი, რომელსაც ქურდის დასახელებული ამხანაგები სიაში ეყვდა აწერილი და წარმოთქვა: „ამხანაგებო! ზაქარია კეპულაძე გატყდა, თქვენც იცით, მაგრამ იგი ამასაც ამბობს, მე რომ დავიბადე, მაშინ ქურდობა არ ვიცოდიო. შემდეგ კი მათე კეპულაძემ მასწავლა და გამაჩვია რისთვისაც სამართლიანია ისიც დაისაჯოსო''. მოყვანილი იყო რამოდენიმე მაგალითი ქურდობისა, რომლითაც უმცროსი ქურდი ამხელდა უფროს ქურდს; უკანასკნელი დიდ უარზე იდგა, არ უნდოდა თავის თავი დამნაშავეთ ეცნო, მაგრამ, ხალხმა ერთ ხმათ შესძახა: ,,მასწავლებელიც ურემზე და მოსწავლეცო''. წინ უმცროსი და უკან უფროსი ქურდები დასხდენ ურემზე და ხალხის გაყოლით გაემგზავრენ მეორე ეკლესიისაკენ, სადაც კიდევ მეტი ხალხი დახვდათ. ურემი ქურდებით ჩაატარეს ხალხში და ფიცრების პატრონის ეზოში მიიყვანეს. ქურდებმა ხალხს აღთქმა მისცეს, რომ შემდეგისათვის ამისთანა ცუდკაცობას აღარ ჩავიდენთო. მოსალოდნელია, რომ გლეხების ფიცხელი და სწორი სამართალი მალე მოსპობს ამისთანა საქმეებს.

გიორგი ნიკოლეიშვილი.

რუსეთის ქრონიკა.

პეტერბურგის გუბერნიის ყველა ქალაქებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობასთან—გაანთავისუფლონ ისინი პოლიციის შესანახი ხარჯისაგან. (Юр.).

—

ბეჭვდითი საქმის მთავარმა სამმართველომ გაზეთ „სინ ოტეჩესტ.“ და „ნაშა ჟიზნ“-ის ცალკე ნომრებათ გაყიდვა აკრძალა. (С. О.).

—

სარატოვის ერთ ადგილობრივ სტამბას, ყველა სავაჭრო სამრეწველო ფირმებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ამ სტამბამ იკისრა ბეჭვდა გაზ. „სარატ. ეპარქ. უწყებების“-ს, რომლის ბეჭვდაზე ერობის სტამბამ უარი განაცხადა. (Р. В.).

—

28 ივლისს კიშინიოვის გუბერნატორი ხარუზინი ორგიევსკის მაზრაში გაემგზავრა. ამ მაზრაში აგრარული მოძრაობა დაწყებულა. (Н. Ж.).

—

ბელოსტოკის გუბერნატორს ქალაქის თავისთვის და საბჭოს წევრებისთვის შემდეგი წინადადება მიუცია: წესიერების აღსადგენათ ქალაქში ქვის გალავნებით უნდა დაყრუვდეს ის ეზოები, რომლებსაც ორი მხრიდან ალაყაფის კარები აქვს; პოლიციის და დარაჯების გასაძლიერებლათ, თანხა უნდა გადიდვას. (Юр.).

—

გომელიდან „იუჟნი კრაი“-ს ატყობინებენ: 18 ივლისს, შუადღის 12 საათზე მოგილევის ჟანდარმების უფროსის თანაშემწეს როტმისტრ შებენკოს ორმა უცნობმა ყმაწვილმა ეტლიდგან ყუმბარა ესროლა. ყუმბარა არ გასკდა, მხოლოდ იფეთქა. ყმაწვილებმა მოასწრეს მიმალვა, თუმცა მათ რევოლვერები დაუშინეს. შეიპყრეს მეეტლე, რომელმაც განაცხადა, რომ ყმაწვილებს არ იცნობს. როტმისტრ შებენკოს, გომელში ხან-მოკლე სამსახურის დროს, სამი საიდუმლო სტამბა და არალეგალური ლიტერატურის რამდენიმე საწყობი აღმოუჩენია. (Пр.).

—

„პოტ“-ზე აჯანყებულ 43 დამნაშავეთაგან სევასტოპოლის საზღვაო სასამართლომ 15 გამართლა, 4-ს დახვრეტა გადაუწყვიტა, 3-ს უვადო კატორღა, დანარჩენებს სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა. (Н. Д.).

—

29 ივლისს ნიკოლაევის რკინის გზის მატარებლით პეტერბურგიდგან ნიჟნი-ნოვგოროდში გაემგზავრა 4 ბოქაულის თანაშემწე, 3 უბნის ზედამხედველი და 50 პოლიციელი. ყველა ესენი პეტერბურგის პოლიციამ ნიჟნი-ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორს გაუგზავნა. (Юр.).

—

ამ დღეებში ჰელსინგფორში სახალხო კრება მოხდა. კრებას 20 ათასი კაცი დაესწრო. ბევრი სხვა ქალაქებიდანაც იყვნენ. (Д.).

—

დიმიტროვსკის და ბაუსკის მაზრებში გლეხებმა 22 სოფლის სამმართველო გაანადგურეს და ყველა დოკუმენტები დახიეს. განსაკუთრებული ბოროტებით სათადარიგო ჯარის კაცების სიებს ხევდენ. კასიდან მხოლოთ ხაზინის ფული გაიტაცეს. ობლების ფულისთვის ხელიც არ უხლიათ. თავს დაესხენ რამდენიმე მემამულეს, სამი მათგანი მოკლეს. ბარონ ვოლფის შუამდგომლობით ხინცენბურგში დრაგუნთა ესკადრონი გაიგზავნა. (Р.).

—

როგორც „ყირ. უწყებები“ გადმოგვცემს—ოდესის ოლქის ჯარების უფროსს სალდათ მაჩიდლოვერის სიკვდილით დასჯა დაუმტკიცებია. (Пр.).

—

„რუს სლოვო“-ს სევასტოპოლიდან ატყობინებენ: „პოტიომკინ“-ზე აჯანყების გამოძიება გათავდა. საქმეს სამხედრო სასამართლო გაარჩევს. (С. О.).

—

როგორც „ვარშავის დღიური“ იუწყება: 9 აგვისტოს, დილიდგან ვარშავის ქარხნებში გაფიცვა დაიწყო. გაიფიცენ

აგრეთვე მეპურეები. 10 საათიდან მატარებლის მიმოსვლაც შეწყდა. (P. B.).

—

ვიცე-ადმირალმა ბირილევმა, რომელიც შორეულ-აღმოსავლეთის საზღვაო ძალების მთავარ-სარდლათ ითვლებოდა, ვლადივასტოკის დათვალიერების დროს რამდენიმე აფიცერი დაითხოვა, რადგან იმათი იქ ყოფნა მავნებლათ სცნო. ამ ჟამათ ეს აფიცრები სამსახურიდან დათხოვნილ იქნენ. (P. B.).

ნორვეგიის ავტონომია და სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

(პასუხათ ბან. ივ. რამიშვილის)

მკითხველს უეჭველათ ეხსომება, რომ ბ-ნ ივ. რამიშვილმა ამას წინეთ წერილები დასტამბა „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“, რომლებშიაც იგი ამტკიცებდა, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დიდი აღტაცებით მიეგება შვეციასთან კავშირის შეწყვეტას, რითაც მან დაამტკიცა თავისი სოლიდარობა ბურჟუაზიულ პარტიებთან ეროვნულ კითხვაში. ასეთი ამბავი მეტად საგულისხმოა დღეს ქართველებისთვის რადგანაც ჩვენში სოციალ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ავტონომიის წინაღმდეგი არისო. ჩვენ ეჭვი შევიტანეთ ბ-ნ ივ. რამიშვილის სიტყვებში ნორვეგიის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტიის შესახებ, რომ ვითომც ეს უკანასკნელი მართლაც აღტაცებით მიგებებიყოს ნორვეგიის სტორტინგის 7 ივნისის გადაწყვეტილებას შვეციასთან კავშირის შეწყვეტის თაობაზე და ნორვეგიის ნაციონალისტებისათვის დიდი მადლობა გამოეცხადებინოს. ეს ჩვენ ჩავთვალეთ „ან რაღაცა თვალთმაქცობათ, ან სრულ გაუგებობათ“, ბ-ნ ივ. რამიშვილის მხრით. ასეთი ჩვენი შეხედულება ბ-ნ რამიშვილს, რა თქმა უნდა, არ მოწონებია, და მოუწადინებია ჩვენი გამტყუნება. მაგრამ თავის საპასუხო წერილში ავტორი იმეორებს მხოლოთ იმას, რაც წინეთ თქვა და ჩვენ მიერ დაყენებული კითხვებს სრულებით გაურბის. გამოდის, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრტიული მუშათა პარტია ნამდვილათ ნაციონალისტური პარტია ყოფილა, და ეს სწორეთ ასეც უნდა ყოფილიყო, თუ მუშათა კლასი შეგნებულათ მოქმედებსო აი რა დასკვნა მოყავს ჩვენ ბრძენ ავტორს: ამიტომ საჭიროთ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გამოვეკამათოთ ბ-ნ ივ. რამიშვილს და ის, რასაც იგი განზრახ თუ უცოდინარობით ხელს აფარებს, სინათლეზე გამოვიტანოთ.

რუსულ ჟურნალ „Правда“-ს ივნისის წიგნში აი ჩვენ რას ვკითხულობთ ნორვგიაში მომხდარ ამბის გამო: „სტორტინგმა (ნორვეგიის პარლამენტი) ერთხმათ, ხუთი სოციალ-დემოკრატების წინაღმდეგ, დაადგინა ეს წინადადება მიეცეს მეფეს, რომ მან ნება დართოს ერთ-ერთ თავის შვილს ნორვეგიის გვირგვინის მიღებაზე იმ პირობით კი, რომ იგი უარს განაცხადებს შვეციის გვირგვინზეო. სოციალ-დემოკრატები კი თხოულობდენ, რომ სტორტინგმა რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა დააფუძნოსო. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატების ორგანო Social-Demokraten—ამბობდა, რომ ნორვეგიისათვის უკვე დადგა დრო თავი დააწწიოს მონარქიული წესწყობილების მძიმე უღელს, ამ საშუალო საკუნოების ნაშთს. ნორვეგიის ხალხმა უნდა ისარგებლოს ამ შემთხვევით. მან რაც ძალი და ღონე აქვს, პროტესტი უნდა განაცხადოს იმ აზრის წინაღმდეგ, რომ განთავისუფლებულ ხალხს კიდევ ახალი მეფე დაუყენონ. დღევანდელ კრიზისს უსათუოთ რესპუბლიკის შემოღება უნდა მოყვესო“. აქედან აშკარათ სჩანს, თუ რისთვის, რა მიზნით უერთდებოდა ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია სტორტინგის დადგენილებას შვეციასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ. ვინც მართლა რაიმე წინა განზრახვით დაბრმავებული არ არის, აქედან აშკარათ დაინახავს, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის სულ ერთი როდი ყოფილა თუ რა მოსაზრებით გამოუცხადებდა იგი სტორტინგს თავის სოლიდარობას. ნორვეგიის სოც.-დემოკრატიულ პარტიამ მხოლოთ იმიტომ გამოუცხდა სოლიდარობა სტორტინგს ამ საქმეში, რომ ამაში იგი რესპუალიკის დაარსების საშვალებას ხედავდა. რაც ასე საჭიროა მუშათა კლასის საბოლოო მიზნის მისაღწევათ. ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის სულ ერთი არ არის რესპუბლიკის დაწესება თუ ისევ სამეფო მთავრობის შენახვა. ბურჟუაზიული პარტიებისათვის კი ეს სულ ერთია, რადგანაც იმათი მიზანი სულ სხვაა. ბ-ნ ივ. რამიშვილმა კი ყოველივე ეს მიაფუჩეჩა და მარტო იმას გაუსვა ხაზი, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული პარტია დიდი აღტაცებით მიეგება შვეციასთან კავშირის გაწყვეტასო, ეს კი პირდაპირ ფაქტების დამახინჯებაა, რაშიაც ასე დახელოვნებულა ჩვენი ავტორი. მოვიყვანოთ აქ კიდევ ერთი მაგალითი იმის დასახასიათებლათ, თუ რა განწყობილება არსებობს ნორვეგიის სოციალისტებსა და ნაციონალისტებს შორის.

ამ წლის თებერვალში შვეციაში მოხდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონგრესი, რომელზედაც მიწვეული იყვენ ნორვეგიელი ამხანაგებიც. ამ კონგრესზე სხვათა შორის გაირჩა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უყურებდეს შვეციის სოციალ-დედოკრატიული მუშათა პარტია ნორვეგიასთან მოსალონძელ კავშირის შესყვეტას. ამ კავშირის გაწყვეტა იქ ერთხმათ გადაწყდა და კამათი გამოიწვია მხოლოთ იმ გარემოებამ, თუ ამის შესახებ როგორ უნდა იქნას შედგენილი ადრესი ნორვეგიის ხალხის მიმართ, ვინაიდგან მეტათ საჭირო იყო, რომ ნორვეგიის ნაციონალისტებს იმ ადრესში არაფერი არ ეპოვნათ ისეთი, რასაც ნება მიეცათ იმათთვის სოციალისტური პარტია თავის მოკავშირეთ გამოეყვანათ, თუნდ ეს კავშირი მოკლე ვადიანიც ყოფილიყო“ (გვ. 249). სულ ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ მან ვერ დაინახოს, თუ როგორ დაშორებული არიან ერთიერთმანერთისაგან სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები. სოციალ-დემოკრატებისთვის სათაკილოა, რომ ვინმემ ისინი ბურჟუა-ნაციონალისტების პარტიების მოკავშირეთ გამოაცხადოს, თუნდა დროებითაც. ახლა ჩვენ გავიგეთ, თუ რა სიყალბე ჩაიდინა ბ-მა ივ. რამიშვილმა და როგორ დაამახინჯა ფაქტი ჩვენი ნაციონალისტ-ფედერალისტ-ავტონომიტეტების გასახარებლათ. მაგრამ ბ-ნმა ივ. რამიშვილმა არა მარტო ამით ისახელა თავი; იგი გარდა ამისა საკვირველ ორპირობას და თაღლითობას იჩენს. აი საქმე რაშია.

ვინც ბ-ნ ივ. რამიშვილის წერილებს წაიკითხავს. მას პირველი შეხედვით ეგონება, რომ ჩვენი ავტორი მუშა ხალხის მომხრეა, რომ იგი თითქო პატივისცემით უყურებს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. მაგრამ ეს მხოლოთ პირველ შეხედვით; თუ ცოტა უფრო დაკვირვებით წაიკითხავთ ჩვენი ავტორის წერილებს, მაშინ თქვენ დარწმუნდებით, თუ როგორი ზიზღით და დაცინვით ექცევა იგი მუშა ხალხს და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას. მას მაგალითათ, სიცილათაც არ ყოფნის ის გარემოება, რომ ჩვენი ასრით დღევანდელ პირობებში შეგნებული მუშა უთუოთ სოციალ-დე-

მოკრატიული პარტიის წევრი უნდა იყოს. ასეთი შეხედულება არ მოეწონება, რა თქმა უნდა იმ კაცს, რომელიც უარყოფს კლასთა ბრძოლას. აი რას ამბობს ბ-ნი ივ. რამიშვილი ამის შესახებ „ნორვეგიის ცოცხალი მაგალითიც (თუ რა მაგალითია ეს, ჩვენ უკვე ვიცით) ცხად-ყოფს კლასთა ბრძოლის თეორიის უკიდურესობას. გაუნათლებლობასთან და ისტორიულ ფაქტების უცოდინარობასთან ერთათ საჭიროა თავისებური გონებრივი სივიწროვე, რომ ვინმე დარწმუნდეს, ვითომ კაცობრიობის ისტორია მხოლოთ კლასთა ბრძოლის გარშემო ტრიალებდეს"-ო... აი რა ღრმა ფილოსოფოსი აღმოჩენია ჩვენ სამშობლოს! ისინი, ვინც აქამდის კლასთა ბრძოლას აღიარებდენ, ყველა გაუნათლებელი და უვიცნი ყოფილან! თურმე „თავისებური გონებრივი სივიწროვით" აიხსნება ის გარემოება, რომ მარქსმა და ენგელსმა მიიღეს და შეიმუშავეს ეს თეორია. ეტყობა ჩვენი ავტორის ტვინის კოლოფი მეტათ ფართო უნდა იყოს, რომ იგი ასეთ დიად აზრს იტევს.

ბ-ნ ივ. რამიშვილს, რასაკვირველია, არც მატერიალისტური შეხედულება წაჰს ისტორიაზე. აი როგორ მსჯელობს ჩვენი „ფილოსოფოსი": „ჩვენს მოკამათეს (ე. ი. ჩვენ), რომელსაც ეკონომიური ფაქტორის მეტი არა სწამს რა, ძლიერ გაუკვირდება, როდესაც გაიგებს, რომ ნორვეგიელნი დაჟინებით თხოულობდენ, რომ საერთო მეფეს ნორვეგიაში ოფიციალურათ იხსენიებდენ ნორვეგია-შვეციის მეფეთ, და არა შვეცია-ნორვეგიისა, როგორც ეს უნიის დროს იყო. აი რა წვრილმან რასმეს შეუძლია აალელვოს ეროვნული გრძნობა! ეკონომიური ფაქტორის ძლიერებით დაბრმავებულნი ამ ფაქტს რა თქმა უნდა ვერ გაიგებენ"-ო, დიდი რიხით გვეუბნება ჩვენი „მეცნიერი" (იხ. „ივერია" № 141). მისი აზრით ეროვნული გრძნობა ისეთი „ნაზი" რამ არის, რომ როგორ შეიძლება იმის ასახსნელათ მატერიალური ფაქტორით ვიხელმძღვანელოთ ეს ხომ ამ გრძნობის შეურაცხყოფა იქნებოდა! მაგრამ ერთი ვკითხოთ ჩვენ ბრძენ „ფილოსოფოსს": რითი ხსნის იგი თვითონაც იმ „წვრილმან" გარემოებას, რომ ნორვეგიელები დაჟინებით თხოულობდენ, რომ საერთო მეფეს ნორვეგიაში ოფიციალურათ იხსენიებდენ ნორვეგია-შვეციის მეფეთ და არა შვეცია-ნორვეგიისა. ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების მიმდევარნი კი ადვილათ ხსნიან არა თუ ასეთ წვრილმა ფაქტს, არამედ უფრო რთულს საზოგადოებრივს მოვლენებს. მაგალითისთვის შორს წასვლა არ არის საჭირო. წინა წერილშიაც ვამბობდით, რომ ნორვეგიაში მომხდარი რევოლიუციის მიზეზი თვით ნორვეგიის ხალხის ცხოვრების ნივთიერ პირობებში უნდა ვეძიოთ-თქო. ბ-მა რამიშვილმა, რასაკვირველია უყურადღებოთ დატოვა ჩვენი შენიშვნა; ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით კიდევ უფრო გაუსვათ ხაზი ამ აზრს. როგორც ვიცით, ნორვეგია ბევრათ უფრო განვითარებულია მრეწველობის და აღებმიცემობის მხრით შვეციასთან შედარებით. ამიტომ ნორვეგია უფრო დემოკრატიული ქვეყანაა, ვინემ შვეცია, სადაც თავად-აზნაურებს ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამიტომ შვეციასა და ნორვეგიას შორის ყოველთვის დიდი უთანხმოება იყო, მით უმეტეს რომ დემოკრატიული ნორვეგია იძულებული იყო საჭირო საქმეებში დამორჩილებოდა შვეციის გავლენას, რადგანაც მთავრობა უფრო შვეციის მინისტრების ხელში იყო. ამიტომ 1891 წლიდან დაწყებული ნორვეგია ცდილობს დამოუკიდებლათ განაგოს თავის საქმეები; მან გადაწყვიტა, მოეპოვებია უფლება, რომ მას თითონ დაენიშნა საზღვარ გარეთ საკუთარი ელჩები, თავისი საალებ-მიცემო ინტერესების დასაცველათ. ამ ნიადაგზე ამოცენებული უთანხმოება თან და თან მწვავდებოდა და ბოლოს საქმე კავშირის გაწყვეტით გათავდა (იხ. ამის შესახებ „Правда" ივნისი გვ. 245). რას იტყვის ამის შესახებ ჩვენი ავტორი ბ-ნი რამიშვილი უფრო კარგს იზამდა თავისუფალი დრო ფაქტების შესწავლისთვის მოეხმარებია, და ჭორების გავრცელების და ფაქტების დამახინჯებისთვის თავი დაენებებია. მაშინ მისი ნაწერი სასარგებლო იქნებოდა მკითხველებისათვის. სამწუხაროა რომ ასეთ უკუღმართ და ყალბ გზას ადგება ახალგაზდა კაცი. კიდევ უფრო სამწუხაროა და სამარცხვინოა, როცა ამას ხელს უწყობს და უწონებს ჟურნალ-გაზეთობა. ბ-ნი ივ. რამიშვილი ძლიერ ადრე შემდგარა ყალბ გზაზე; ვეჭვობთ, რომ მან ოდესმე შესძლოს იქიდან ამოსვლა და თავის დახწევა. მე არ მიკვირს, რომ ისინი, ვინც იქ კაი ხანია შემდგარი არიან, კოჟინით და ერთი ამბით ეგებებიან მას. მაგრამ ვაი ამისთანა მიგებებას.

ჩვენ აქ გვინდოდა, თვით ავტონომიის შესახებ გვეთქვა ორიოდე სიტყვა, აგვეხსნა მკითხველისთვის ის, თუ რა განსხვავებაა ნორვეგიის ავტონომისა და იმ ავტონომის შორის, რომელსაც ჩვენი ნაციონალისტ-ფედერალისტები თხოულობენ, მაგრამ ეს სხვა დროსთვის გადავდვათ.

ფ. მახარაძე.

ფრიდრიხ ენგელსი.

ამ წლის 5 აგვისტოს ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ფრიდრიხ ენგელსი. ამ ჟამათ იშვიათია ისეთი ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მუშა, რომელსაც არ გაეგონოს ამ გამოჩენილი კაცის სახელი. მარქსი და ენგელსი! ამ ორი ადამიანის სახელი მჭიდროთ არის ერთმანერთთან შეკავშირებული; სიცოცხლეშიც სულიერათ და გონებრივათ თანშეზრდილნი, იგინი სიკვდილს შემდეგაც ერთათ და განუყოფელათ იხსენებიან. გენიოსი მარქსი ბევრათ უფრო მაღლა იდგა ბუნების მიერ უხვათ დაჯილდოვებულ ენგელსზე, მარა პირველის სიდიადე ოდნავაც არ ამცირებს მეორის მნიშვნელობას. ერთ კერძო წერილში ენგელსი სწერს თავის ძველს და ერთგულ ამხანაგს: „მთელს ჩემ სიცოცხლეში მე მეორე სკრიპკას ვუკრავდი და, როგორც ვფიქრობ, ამ მხრით შეუდარებლათ დავხელოვნდი. განუსაზღვრელ კმაყოფილებას ვგრძნობდი, რადგან პირველი სკრიპკა მარქსი იყო. ახლა კი, როცა მე, როგორც თეორიის წარმომადგენელმა, პირველი სკრიპკა უნდა ავიღო ხელში, განსაკუთრებით უნდა ვეცადო, რომ არ შევრცხვე". ეს სიტყვები შვენიერათ ახასიათებს ენგელსის და მარქსის ურთიერთ შორის განწყობილებას. თუ მარქსს პირველ სკრიპკას შევადარებთ, შეუცდომლათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სკრიპკის ციურს და წარტაც ხმებს ვერავინ ვერ შეეწყობოდა და დაამშვენებდა ისე, როგორც მეორე სკრიპკა-ენგელსი. მარქსმა და ენგელსმა ერთათ შექმნეს შეურყეველი თეორია მეცნიერული სოციალიზმისა. მას შემდეგ, რაც მათ ერთმანერთი გაიცნეს, მჭიდრო სულიერი კავშირი მათ შორის ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა და არ შერყეულა. საერთო მუშაობაში ეს ორი გამოჩენილი ადამიანი შრომის განაწილების პრინციპით ხელმძღვანელობდენ: მარქსმა მარტო შეიმუშავა ენგელსთან ერთად შექმნილი თეორია და თავის შვენიერ თხზულებათა საშვალებით ქვეყანას ამცნო ახალი მოძღვრება. ენგელსი კი ფხიზელ დარაჯათ უდგა ამ მოძღვრებას, დაუღალავათ იცავდა მას და თავგანწირულათ ებრძოდა სალიტერატურო ბრძოლის ასპარეზზე მის ღირსეულ მოწინააღმდეგეებს. ამიტომ მის თხზულებებს პოლემიკური, საკამათო წერილების ხასიათი აქვს. სწორეთ ასეთი შრომის განაწილებით აიხსნება ისიც, რომ მარქსმა თითქმის მთე-

ლი თავისი მეცნიერული შრომა ერთ წიგნში—კაპიტალში მოათავსა, ენგელსის გამოკვლევათა შედეგები კი მრავალ პატარ-პატარა წერილებშია გაბნეული...

ფრიდრიხ ენგელსი დაიბადა რეინის პროვინციაში, ქალაქ ბრემენში 1820 წელს; მამა მისი შეძლებული ფაბრიკანტი იყო. რეინის პროვინციამ, რომელიც გერმანიის ყველა კუთხეზე წინ იდგა მრეწველობის და პოლიტიკური განვითარების მხრით, დიდი გავლენა იქონია ენგელსზე. აქ, ენგელსის სამშობლოში, გერმანიის სხვა ნაწილებზე ადრე იჩინა თავი კაპიტალისტურმა წარმოებამ და ახალგარზდა, რევოლიუციურმა ბურჟუაზიამ, რომელიც სწრაფათ შეუდგა ძველ ფეოდალურ ურთიერთობათა განადგურებას. მეორე მხრით, განვითარებულმა მრეწველობამ აქვე წარმოშვა მრავალ-რიცხოვანი პროლეტარიატი, რომელმაც ძალიან მალე შეიგნო თავის კლასობრივი ინტერესები. ასეთი იყო ენგელსის სამშობლო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.—ამავე დროს გერმანიაში ყვაოდა ფილოსოფია. საუკეთესო წარმომადგენელს გერმანული ფილოსოფიისა, ჰეგელს დიდი გავლენა ქონდა ახალგაზრდა ენგელსზე. ის გულმოდგინეთ შეუდგა ფილოსოფიის შესწავლას. უნივერსიტეტის კურსის დამთავრებას აღარ დაუცადა ენგელსმა და 1842 წელს გაემგზავრა ინგლისში; ინგლისის განვითარებულმა კაპიტალიზმმა თვალები აუხილა ენგელსს და პირველათ აქ ჩაესახა მას ის დიადი აზრები, რომელთაც შემდეგ სახელი გაუთქვეს. პროლეტარიატის მდგომარეობამ და ტანჯვამ ძალიან დააინტერესა ახალგაზრდა ენგელსი და მისი გონება პროლეტარიატის მომავალზე ფიქრმა და აზროვნებამ. შეიპყრო. ინგლისში ენგელსმა ორი წელიწადი დაჰყო და შემდეგ ისევ გერმანიაში გამოემგზავრა. გზაში მან ინახულა მარქსი, რომელიც მაშინ პარიზში ცხოვრობდა. ამ დროს (1844 წ.) დაუმეგობრდენ ერთმანერთს მარქსი და ენგელსი. მათი აზრები ისეთ ნაირათ შეეთანხმენ და შეეწყვენ ერთი-მეორისას, რომ მათ ერთათ წიგნიც შეადგინეს. ამ წიგნადან ნათლათ ჩანს, რომ მარქსმა და ენგელსმა სამუდამოთ გაწყვიტეს კავშირი ჰეგელის ახალ შკოლასთან. საზოგადოთ მთელ გერმანულ ფილოსოფიას და კერძოთ ჰეგელისას, იდეალისტური ხასიათი ქონდა. ჰეგელის აზრით ყოველივე ნივთი იდეას ექვემდებარება და იდეა არ წარმოადგენს სინამდვილეში არსებულ ურთიერთობის გამოხატულებას; იდეა დამოუკიდებელათ არსებობს და მისი განვითარება არის მიზეზი ნივთის განვითარებისა. ასეთ იდეალისტურ შეხედულებას წინ აღუდგენ მარქსი და ენგელსი-მათ თვით ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის საშვალებით დაარღვიეს ჰეგელის ფილოსოფიის ზედნაშენი; გერმანული ფილოსოფიის იდეალიზმს მათ წინ დაუყენეს თავისი მატერიალიზმი. ამ წიგნს, რომელშიაც პირველათ გამოაქვეყნეს მარქსმა და ენგელსმა თავისი დიალექტიკური მატერიალიზმი სახელათ ქვია: „წმინდა ოჯახი, ანუ კრიტიკა, კრიტიკული კრიტიკისა. ბრუნო ბაუერის და კომპ. წინააღმდეგ“.

თუ როგორ სწრაფათ განვითარდა ენგელსის გონებრივი ძალა, იქიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ ის ჯერ 24 წლის იყო, როდესაც პირველათ გამოთქვა მეცნიერული სოციალიზმის პრინციპები თავის თხზულებაში. ამ თხზულებას ქვია: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. ეს წიგნი საკუთრათ ენგელსისაა და მარქსს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მის შედგენაში.

შემდეგ მარქსი და ენგელსი ბრიუსელში შეხვდენ ერთმანერთს. აი სწორეთ აქ ააშენეს მათ თავიანთი მოძღვრების თეორიული საფუძველი. მათ გააქარწყლეს წვრილი ბურჟუაზიის და მუშების აზრი, რომელნიც ფიქრობდენ, რომ დაეხმობოდა თუ არა რეაქციონური მთავრობა, ქვეყანათ მაშინვე სამოთხე გამეფდებოდა და არ ესმოდათ, რომ სწორედ ასეთი მთავრობის დამხობა მოასწავებდა აშკარა კლასობრივი ბრძოლის დასაწყისს, რომელსაც უნდა გაეკაფა გზა მომავალი სოციალიზმისაკენ. მარქსმა და ენგელსმა დაიწყეს პრაქტიკულათ მუშაობა, რომლის შედეგი იყო „კომუნისტური კავშირის“ დაარსება. ამ კავშირის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდებოდა და მას მალე „საერთოშორისო კავშირი“ ეწოდა სახელათ.

1847 წ. მოხდა პირველი კონგრესი კავშირისა, დაერქვა ახალი სახელი—„კომუნისტების კავშირი“ და სრულიად შეიცვალა მისი ორგანიზაცია. ამ კონგრესზე მარქსი ამ ყოფილა. იმავე წელს შედგა მეორე კონგრესი. აქ მარქსიც იღებდა მონაწილეობას. მარქსს და ენგელსს მანდო კავშირმა მანიფესტის შემუშავება.

მეგობრები პარიზში გაემგზავრენ, შენდეგ ისევ გერმანიაში დაბრუნდენ და ქალაქ კელნში გამოსცეს „რეინის ახალი გაზეთი“.

1848 წლის რევოლიუციის სულის ჩამდგმელათ წვრილი ბურჟუაზია ითვლებოდა და ამ რევოლიუციის დამარცხება წვრილი ბურჟუაზიის დამარცხებას მოასწავებდა. იმ დროს კლასთა ინტერესების წინააღმდეგობას ვერ ხედავდა მუშა ხალხი და ირგვლივ კლასთა სოლიდარობის ქადაგება გაისმოდა. მუშათა კლასი იმ დროს ძალიან სუსტი და შეუგნებელი იყო და არ შეეძლო პოლიტიკური ხელმძღვანელობის გაწევა, ბურჟუაზია კი სრული შეგნებით მოქმედობდა რევოლიუციის დროს. 1848 წლის რევოლიუციამ ნათლათ დაანახვა პროლეტარიატს მისი მტერი და მოყვარე. მოღალატე და ცბიერი წვრილი ბურჟუაზია დაგმო მუშათა კლასმა და უცებ შეიგნო კლასთა ინტერესების წინააღმდეგობა. როგორც ზევით ვთქვით, ამ რევოლიუციამ დაამარცხა წვრილი ბურჟუაზია, რომელსაც სამუდამოთ დაეკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა და ნდობა.

ყველა ეს, რასაკვირველია, ცხადია ჩვენთვის, მარა მაშინ «რეინის ახალი გაზეთი» და მისი ხელმძღვანელები—ერთათ ერთი იყვენ, რომელთაც ნათლათ ესმოდათ საქმის ნამდვილი მდგომარეობა. „რეინის ახალი გაზეთი“ ცდილობდა დაერღვია და გაექრო ილუზიები, რომელიც მასაში გავრცელებულიყო. ეს გაზეთი და მისი ხელმძღვანელები არ ინდობდენ წვრილ ბურჟუაზიას და სასტიკათ დასცინოდენ მის ბანაკიდან წამონასროლ მაღალ ფარდოვან ფრაზებს...

1849 წ., 19 მარტს მთავრობამ დახურა „რეინის ახალი გაზეთი“ და განდევნა მარქსი გერმანიიდან. ენგელსსაც დაეძებდა მთავრობა და ისიც იძულებული შეიქნა სადმე გადახვეწილიყო

1849 წ., 11 ივლისს ენგელსი შვეიცარიაში გადავიდა. აქ მან ვერ პოვა შესაფერი ნიადაგი მუშაობისთვის და გაემგზავრა ლონდონში, სადაც ამ დროს მარქსიც იმყოფებოდა. ლონდონი მაშინ რევოლიუციონერთა ბუდეს წარმოადგენდა; იქ თავი მოეყარა 1848 წლის თითქმის ყველა გამოჩენილ გმირებს და კომუნისტური კავშირის ხელმძღვანელებს. გადაწყდა ახალი ორგანიზაციის დაარსება. ყველას საქმე სწყუროდა და აქტიურ მოქმედებისაკენ მიისწრაფოდა. მარა, როგორი განსხვავება იყო მარქს-ენგელსსა და დემოკრატ-ემიგრანტთა შორის! ეს უკანასკნელნი ბავშური სიცელტით უცქეროდენ საქმეს, მიუხედავათ მწარე გამოცდილებისა ხელახლა ილიუზიებმა და ცრუ აზრებმა გაიტაცა იგინი. მარქსი და ენგელსი კი წინდახედულათ, დინჯათ და დაუღალავათ შეუდგენ სა-

ქმეს; ცდილობდენ კომუნისტთა კავშირის გაძლიერებას და კრიტიკით და პროპაგანდით ხელს უწყობდენ გერმანიაში მოძრაობის განვითარებას.

1850 წ. ქალაქ ჰამბურგში მარქსის და ენგელსის ხელმძღვანელობით გამოიცა ყოველთვიური ჟურნალი, რომელსაც დაერქვა ძველი სახელი: „რეინის ახალი გაზეთი“. ამ ჟურნალში ენგელსმა მოათავსა სხვათა შორის წერილები გერმანელ გლეხთა ომის შესახებ. ამ შრომაში ავტორმა მატერიალისტური თეორიის მიხედვით ახსნა კაპიტალისტური წარმოების დაწყებამდი ყოფილი ურთიერთობა.

1850 წ. შეწყდა პოლიტიკური მუშაობა. მარქსს და ენგელსს აღარ შეეძლოთ ლიტერატურული მოღვაწეობა გაგრძობა გერმანიაში, რადგან მათ ყველა სდევნიდა და არც ერთი გამომცემელი არ აძლევდა ადგილს მათ წერილებს. მარქსი ბრიტანიის მუზეუმში დაბრუნდა და დაიწყო თავისი „კაპიტალის“ წერა, ენგელსი კი ისევ ინგლისში, მანჩესტერში გაემგზავრა...

თითქმის ოცი წლით დაშორდენ ერთმანერთს მარქსი და ენგელსი, მარა სულიერი კავშირი მათ შორის ერთ წუთსაც არ შეწყვეტილა. თითქმის ყოველდღიური მიწერ-მოწერა ქონდათ მათ ერთმანეთთან ამ დროს განმავლობაში. ამ მიწერ-მოწერამ დღემდისაც მოაღწია და ძვირფას მასალას იძლევა 1850 წ.—1870 წ. ხანის დასაფასებლათ.

1870 წელს ენგელსი ლონდონში დაბინავდა. ლონდონში ის გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას და ეს დრო განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მის ცხოვრებაში. მან დასწერა მრავალი პოლემიკური და დროს შესაფერი წერილები, რომლის უმეტესობა ახლა წიგნებათ იყიდება. თუმცა თვითეული მისი წერილი რაიმე მომემტით იყო გამოწვეული, მარა ეს ისეთი ნაწერებია, რომელთაც ინტერესი არ ეკარგება, მიუხედავათ იმისა, რომ მათი გამომწვევი გარემოებები დიდი ხანია გაქრა. ზოგი მათგანი განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, რადგან ნათლათ ახასიათებს ისეთ ისტორიულ მდგომარეობას, რომლის მსგავსი ჩვენ თვალწინ დგას ამ ჟამათ. ამ ნაყოფიერ დროს ეკუთვნის აგრეთვე ერთი საუკეთესო თხზულებათაგანი ენგელსისა—„ანტი-დიურინგი“. ამ წიგნის შინაარსი მეტათ საყურადღებოა, რადგან აქ ენგელსი არჩევს თანამედროვე მეცნიერების ყველა მნიშვნელოვან საკითხებს მატერიალისტური დიალექტიკის თვალთა ხედვით. (Пр. Кр.).

(დასასრული იქნება).

თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი.

ვ. ბრაკესი.

(თარგმანი *)

უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავითვალისწინოთ ორი შემეცნება: სახელდობრ რა არის **კომუნიზმი** და რა არის **საკუთრება?** ჯერ გავაკეთოთ ერთი შენიშვნა. ხშირათ გაცხარებით იბრძვიან ხოლმე მოპირდაპირეები იმ შემთხვევაში, როცა მათ ერთი და იგივე შემეცნება სულ სხვა და სხვანაირათ აქვთ განსაზღვრული, სულ სხვა და სხვა ნაირათ ესმით. კითხვა შეეხება, მაგალითათ შემდეგს: სამრთლიანია თუ უსამართლო ცნობილი შეხედულება ამა, თუ იმ საგანზე; მოპირდაპირენი მაშინაც კი გაცხარებით იბრძვიან, როცა ეს საკითხი სრულიათ არ აინტერესებთ. ამ გვარი მსჯელობა ხშირათ ხდება ხოლმე. მას ხშირათ დიდ მნიშვნელობასაც აძლევენ საკმარისია გავიხსენოთ დრო „ხატების მდევართა“, “ანაბაპტისტებისა“ და «იოანე ლეიდენელის» სექტის მიმდევართა. იგივე ხდება ახლაც, განსაკუთრებით ,,კომუნიზმის'' შესახებ. უსაქმო ხალხმა, რომელიც მუდამ სიმდიდრის შეჭმაშია, კომუნიზმის შესახებ იმდენი სიცრუე გაავრცელა, რომ ხალხის უმრავლესობა ისე ვერ წარმოიდგენს კომუნისტს, თუ არ უსაზიზღრეს დაცემულ არსებათ. ამის გამო ადვილი არ არის კომუნიზმზე მსჯელობა, რადგან წინდაწინვე იცით უმეტესობის მსჯავრი. როდესაც კითხვა კომუნისტს შეეხება, არავის არაფერი აღარ ესმის, არავინ არაფერს არა ხედავს და არაფერზე არ ფიქრობს, მხოლოთ გაიძახის: „წყეულიმც იყოს იგი!“ ო. გამოჩენილ ფერდინანდ ლასალს ერთხელ ვიღაცამ მიაძახა: «შე სოციალისტო!» (სოციალისტი და კომუნისტი არსებითად ერთი და იგივეა,) ამ სიტყვას უნდა მოესპო ლასალი საბოლოოთ; მართლაც მან გამოიწვია ყოველგვარი საზოგადოებრივი ცრუმორწმუნეობა სოციალისტური მისწრაფების საწინააღმდეგოთ და ამ გვარი ცრუმორწმუნოება კი უძლიერესია თვით სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებაზედაც. ამიტომ არაფერი ისე ძნელი არ არის, როგორც ამ კითხვის შესახებ შეთანხმება.

მკითხველი, რომელიც აქამდე თვალყურს მადევნებდა, რასაკვირველია, არ დაიწყებს ყვირილს: «წყეულმც იყოს, წყეულმც იყოს იგიო!» ის ეცდება დამშვიდებით მოძებნოს ჭეშმარიტი პასუხი კითხვაზე: «რა არის კომუნიზმი?»

თუ თვალებ გახილული დავაკვირდებით ჩვენ გარშემო არსებულ ქვეყანას, შევამჩნევთ მრავალ საკეთილო და სასარგებლო დაწესებულებას, რომელიც დაარსებულია ან ბევრი პირისაგან და ან საზოგადოების ყველა წევრებისაგან. აგერ ადამიანები ადგენენ საზოგადოებას, თუნდ დაღუპული გემიდან ადამიანების გადასარჩენათ; აგერ საზოგადოება აარსებს შკოლას; აგერ სახელმწიფო აკეთებს გზა-ტკეცილს და სხვა და სხვა. კერძო, ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითეული თავის საკუთარ თავზე ფიქრობს, მაგრამ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში კი ადამიანები ერთდებიან საერთო მიზნის მისაღწევათ. გამოცდილებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ თვითეული წევრი არა ჩვეულებრივ სარგებლობას იღებს ამ შეერთებისაგან. ყველა, ვისაც კი ცოტა გონება შერჩენია, იტყვის, რომ ამ გვარი სასარგებლო საზოგადო დაწესებულება ძალიან უწყობს ხელს მის საკუთარ კეთილდღეობას. რა უნდა ექნა ხალხს რომ არ ქონოდა საერთო ძალით გაკეთებული გზები, ან საერთო ხარჯით დაარსებული შკოლები(რა გინდ უვარგისები იყვნენ ეს უკანასკნელები)? რა შეწუხებას ვიგრძნობდით უცებ რომ მოსპობილიყო ყველა დამზღვევი საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ის აქვს, რომ ერთი პირის ზარალი გაანაწილოს მრავალ პირთა შორის და მით გააადვილოს ზარალის ატანა ერთი პირისაგან. მე შემეძლო ათასობით დამესახელებინა ამ გვარი დაწესებულებები, მაგრამ დასახელებულიც საკმარისია. ყველა ეს დაწესებულებანი შეადგენენ **სოციალიზმის ნაწილს** და ეს იმიტომ რომ სოციალიზმი არის არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოთ ინტერესებისგან საზოგადოებრივების პრინციპი! ყოველდღიურ ცხოვრებაში თვითეული ეძებს თავის საკუთარ სარგებლობას, თუ გინდ ეს სარგებლობა **სხვისთვის** საზარალოც იყოს. აქ არის გამეფებული შიშველი, ცივი საზიზღარი ეგოიზმი. დიდმა საქსოვმა ქარხნებმა მიიყვანა ათიათასობით ხელით მქსოველი მუშა უკიდურეს სილატაკეედე, მაგრამ ვის ან როდის ქონია ამის ჯავრი? ვის უფიქრია იმაზე, რომ ერთი დიდი ქარხანა ჰქმნის ათას ჯანსაღ ბედნიერ მშრომელს უსახლკარო მათხოვარათ? ვინ დაინტერესებულა, მაგალითათ მით, რომ ფეხსაცმლის უზარმაზარი ქარხნები უსპობენ არსებობის საშვალებას მრავალ მეწაღეებს?

*) იხილე „მოგზ.“ № 30.

განა მევახშე კითხულობს, რა მოუვა მისი ვაუმაძღრობის მსხვერპლს? განა აქციონერი, რომელმაც საზოგადოება დააარსა, ფიქრობს იმაზე, თუ რა დაემართება აქციების პატრონებს მაშინ, როცა ისინი კარგავენ თავის ოფლით შეძენილ ქონებას?

არავინ და არასოდეს არ აძლევს თავის თავს ამგვარ კითხვებს; მე დარწმუნებული ვარ, რომ ვინმემ იფიქროს ამაზე, რომ ვინმემ იზრუნოს თავის მოყვასზე, მას მასხარათ აიღებენ.

ეგოიზმი მფლობელობს ყველაფერში. ყველა მიისწრაფვის თავის საკუთარი კეთილდღეობისაკენ და სრულიათ არ არ კითხულობს მას, რომ სხვის კეთილდღეობას ძირს უთხრის!

„მე რა საქმე მაქვს სხვასთან, ოღონდ მე ვიყო კარგათ!“

მაგრამ მიუხედავათ ეგოიზმის გაბატონებისა, ინტერესების განსაზოგადოებრივება შეუჩერებელ ძალით იჩენს თავს.

სულ უფრო ხშირათ და ხშირათ ერთდებიან ადამიანები საერთო საქმისათვის; ერთ კავშირს მეორე მოსდევს თან; თან-და-თან ძლიერდება სახელმწიფოს და საზოგადოების მიამედება. ვის შეეძლო წინათ წარმოედგინა ამდენი სხვა და სხვა საზოგადოების დაარსება? ვინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ყველა ქვეყნები შეერთდებიან რკინის გზებით; გაკეთდებოდა ტელეგრაფი, რომელიც წარმოუდგენელი სიჩქარითფენს ჩვენ აზრებს მთელი დედამიწის ზურგს? ვინ წარმოიდგენდა ახლანდელ საფოსტო ფოჩტას? ვინ იფიქრებდა გაზით განათებაზე და წყლის საყვანის გაკეთებაზე? ვის ქონდა წარმოდგენილი ახლანდელი წყობილება ცეცხლის მქრობელი რაზმებისა? ყველა ესენი კი სოციალიზმის ნაწილს შეადგენს! ერთი სიტყვით, ინტერესების გასაზოგადოებრივება თან და თან იკაფავს გზას ცხოვრებაში, მიუხედავათ შეუბრალებელი ეგოისტური ბრძოლისა. საერთო ინტერესების სარგებლობა თან და თან გზას იწალდავს ცხოვრებაში და ეს გარემოება ასხვავებს ჩვენ დროს წარსული დროისაგან. რაც უნდა სწყევლონ ზოგიერთებმა სოციალიზმი, თვითონაც ამ სოციალიზმისაკენ მიეშურებიან: ყოველივე დარგში თავს იჩენს ინტერესების გასაზოგადოებრივება; საზიზღარი და მასხარათ აღებული სოციალიზმი, ამაყათ თავ-აღებული ასრულებს თავის ძლევა მოსილ მიმდინარეობას და თან ეხება ადამიანთა შორის არსებულ ყოველგვარ დამოკიდებულებას. ის, ვინც თავის თავს სოციალიზმის მტრათ აცხადებს, ვინც ინტერესების გასაზოგადოებრივების მტრათ სახავს თავს, უთუოთ კაცობრიობის მტერიც არის! ვისაც უნდა მოსპოს სოციალიზმი, იმან ჯერ უნდა მოსპოს გზა-ტკეცილები, რკინის გზები, შკოლები, ეკლესიები, საზოგადო ბაღები; მოსპოს საზოგადო აბანოები, თეატრები, წყლის საყვანები, სარწყავი არხები, ყველა საზოგადო შენობები, ყველა დაწესებულებები, ყველა სასამართლოს შენობები, ყველა საავადმყოფოები და ყველა თავშესაფარები; მოსპოს ფოჩტა და ტელეგრაფი!!... ყველა ეს დაწესებულებები ხომ ფარულათ შეიცავენ სოციალისტურ ტენდენციას! *).

სოციალიზმის მოსპობა არ შეიძლება. ის ისეთსავე კუთვნილებას შეადგენს ადამიანის ბუნებისას, როგორც ეგოიზმი. **).

ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ჩვენ რამდენათმე ეხლაც კომუნიზმში ვცხოვრობთ და გაჩქარებით მივეშურებით მისი ნავთსადგურისაკენ. ხალხის უმრავლესობისთვის დადგება ისეთი ბედნიერი დრო, როდესაც ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში უმთავრეს ფაქტორათ გადაიქცევა საერთო ინტერესი, ყველას ინტერესი. მაშინ ეგოიზმი შეიცვლება საყოველთაო კეთილ-დღეობით. თუ მდიდარი ვაჭარი იჯარით იღებს რამდენიმე რკინის გზას მხოლოთ იმისთვის, რომ ცარიელი ვაგონები ატაროს იქით აქეთ და პურის მარცვალიც არ მიიტანოს იქ, სადაც ყველაზე უფრო საჭიროებენ პურში; თუ ასეთ ადგილებში მცხოვრები ხალხი იძულებული ხდება აძლიოს პურში უშველებელი ფასი, ან შიმშილით მოკვდეს; თუ ეს ვაჭარი სარგებლობს საერთო გაჭირვებით თავის სიმდიდრის გასადიდებლათ; თუ ხშირათ ამჯობინებს მსხვილი მწარმოებელი დალპეს მისი სანოვანი, ვიდრე დაკლებულ ფასში გაყიდოს, ყოველივე ეს ეხლანდელ დროში ჩვეულებრივ, კანონიერ წესათ ითვლება!! ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამგვარი წესი, ამგვარი ეგოიზმი საზარალოა საზოგადოებისთვის. მოვა ისეთი დრო, როდესაც კერძო პირის ეგოისტურ ინტერესებს დაუყენებენ პირდაპირ საზოგადო ინტერესებს. ცხადია მაშინ ყველასათვის კარგი დრო იქნება, რასაკვირველია იმათ გარდა ვინც სხვისი შრომით სტკბება და ფუფუნებაში ცხოვრობს „ამის წინააღმდეგი ვინ იქნება?“ დაიყვირებს ზოგიერთი მკითხველი! «თუ ამ თვალით შევხედავთ საქმეს, მაშინ ხომ, — დასწყევლოს ღმერთმა, — ჩვენც ყველანი სოციალისტები ვართ!» დიახ, აქ საქმე სწორეთ ამ კომუნიზმს ეხება, რომლის შემოღება სურთ სოციალდემოკრატებს; კომუნიზს ქონებრივ დამოკიდებულებათა შესახებ. განაწილების და გაყოფის შესახებ არა გვითქვამს რა, მაგრამ ის ხომ ცხადია, რომ საკუთრება უნდა მოისპოს?

აბა ვნახოთ მართლა, უნდათ სოციალდემოკრატებს საკუთრების მოსპობა? (K.)

(შემდეგი იქნება).

*) მიუხედავათ თავისი საზოგადოებრივი ხასიათისა, ზოგიერთი დაწესებულება ღირსია განადგურებისა. **ᲐᲥᲡᲔᲚᲠᲝᲓᲘ.**

) მარქსის აზრით საზოგადოებრივი სოლიდარობა დამოკიდებულია არა ადამიანის ბუნებაზე, არამედ საწარმოვო ძალებით. **ᲐᲥᲡᲔᲚᲠᲝᲓᲘ.

ᲑᲣᲠᲟᲣᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘ *)

(თარგმანი).

ბურჟუაზიამ დასცა არა მარტო ფეოდალური არისტოკრატია, რომლის მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. საშვალო საუკუნის მოქალაქე და წვრილი გლეხობა თანამედროვე ბურჟუაზიის წინაპრები იყვნენ. იმ ქვეყნებში, სადაც მრეწველობა და აღებ-მიცემობა ნაკლებათ განვითარებულია, ეს კლასი დღემდისაც ღრება წინ მიმავალ ბურჟუაზიის გვერდით.

იმ ქვეყნებში, სადაც თანამედროვე ცივილიზაცია განვითარდა, გაჩნდა და მუდამ ჩნდება, როგორც დამატება ბურჟუაზიული საზოგადოებისა — წვრილი ბურჟუაზიის ახალი ნაწილი, რომელიც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ყოყმანობს. მარა კონკურენცია მუდამ პროლეტარიატის რაზმში ერეკება ამ კლასის წევრთ, და იგინი უკვე ითვალისწინებენ იმ დროის მოახლოებას, როდესაც სხვილი მრეწველობის განვითარებით სრულიად გაქრებიან, თანამედროვე საზოგადოების დამოუკიდებელი ნაწილის სახე აღარ ექნებათ, და მათ ალაგს ვაჭრობაში და მიწათმოქმედებაში ზედამხედველნი და დაქირავებული მსახურნი დაიჭერენ.

ისეთი ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია, სადაც გლეხობა მცხოვრებთა ნახევარზედაც მეტია, რასაკვირველია უნდა გამოჩენილიყვენ მწერლები, რომლებიც ემხრობოდენ რა პროლეტარიატს, ბურჟუაზიულ წყობილებას ზომავდენ წვრილი ბურჟუაზიულ წყობილებას ზომავდნენ წვრილი ბურ-

*) იხილე „მოგზაური“ № 30.

ჟუაზიული და წვრილი გლეხური საზომით და იცავდენ მუშათა საქმეს წვრილი ბურჟუაზიული შეხედულობით. ასე წარმოიშვა წვრილი ბურჟუაზიული სოციალიზმი. ამ გვარი ლიტერატურის მეთაურია სისმონდი არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიაც.

ეს სოციალიზმი ჩინებულათ ამჩნევდა თანამედროვე წარმოების პირობათა უკუღმართობას. მან გამოააშკარავა ეკონომისტების ფარისევლური ოპტიმისტობა. მან მიუთითა მანქანით წარმოების და შრომის განაწილების დამრღვეველ მოქმედებას, კაპიტალთა კონცენტრაციას და საადგილ-მამულო საკუთრებას და კრიზისებს, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის აუცილებელ დაცემას, პროლეტარიატის სიღატაკეს, წარმოების ანარქიას, განაწილების აშკარა უსამართლობას, ერთა დამაქცეველ სამრეწველო ომს, ძველ ოჯახურ დამოკიდებულებათა და ძველ ეროვნებათა დაშლას.

ამ სოციალიზმს მოთხოვნილება მდგომარეობს ან წარმოების და აღებ-მიცემობის ძველი წესების აღდგენაში და მასთან ერთათ ძველი ქონებრივი ურთიერთობის და ძველი საზოგადო წყობილების დაბრუნებაში; ან და ის ცდილობს წარმოების და აღებ-მიცემობის ახალი წესები ძველი ქონებრივი ურთიერთობის ჩარჩოში მოათავსოს ძალით, იმ ჩარჩოში, რომელიც მათ უკვე დაამტვრიეს და აუცილებლათ უნდა დაემტვრიათ.. ორივე შემთხვევაში ის არის ერთ და იმავე დროს რეაქციონურიც და უტოპიურიც. მისი უკანასკნელი სიტყვაა მრეწველობის ამქრული ორგანიზაცია და პატრიარქალური სასოფლო მეურეობაა. ეს მიმართულება მხდალ მოთქმათ გადაიქცა შემდეგის განვითარებით.

საფრანგეთში სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა აღორძინდა ბურჟუაზიის ბატონობის გავლენით და წარმოადგენდა ამ ბატონებთან ბრძოლის ლიტერატურულ გამოხატულებას. ეს ლიტერატურა გერმანიაში გადაიტანეს მაშინ როცა იქაურმა ბურჟუაზიამ ის იყო ბრძოლა დაიწყო ფეოდალურ თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ.

გერმანელი ფილოსოფოსები და ნახევრათ ფილოსოფოსები ამ ლიტერატურას ხარბათ დაეწაფენ და დაივიწყეს მხოლოთ ის, რომ საფრანგეთის ლიტერატურასთან გერმანიაში საფრანგეთის ურთიერთობა არ გადმოიტანეს. გერმანიის მაშინდელ საზოგადო წყობილებაში საფრანგეთის ამ ლიტერატურას მოაკლდა ყოველივე პრაქტიკული მნიშვნელობა და გადაიქცა უბრალო ლიტერატურულ მიმდინარეობათ. ის აქ ძალაუნებურათ გახდა ადამიანის არსებობაზე მოცლილ ოცნებათ, მაგ., მეცხრამეტე საუკუნის გერმანელ ფილოსოფოსთათვის საფრანგეთის პირველ რევოლიუციის მოთხოვნილებებს „პრაქტიკულ გონების“ მოთხოვნილებათა აზრი ქონდათ, ხოლო საფრანგეთის რევოლიუციური ბურჟუაზიის ნების გამოცხადება მათ ეჩვენებოდათ წმინდა ნების კანონებათ, ნების, როგორიც უნდა იყოს იგი, ე. ი. ადამიანის ჭეშმარიტი ნების.

გერმანელ ლიტერატორთა მთელი საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ საფრანგეთის ახალი აზრები შეეთანხმებია თავისს ძველ ფილოსოფიურ სინდისთან და თანაც მდგარიყვენ ძველ ფილოსოფიურ შეხედულობაზე.

ეს შეთვისება მოხთა ისე, როგორც უცხო ენის შეთვისება ხთება ე. ი. თარგმანის საშვალებით.

ცნობილია, რომ იმ ხელნაწერებზე, რომლებიც შეიცავდენ ძველი ქვეყნის კლასიურ ნაწარმოებებს, ბერები აწერდენ კათოლიკური წმინდანების ბრიყვული ცხოვრების აღწერას. გერმანელი მწერლები კი საფრანგეთის ლიტერატურას სწორეთ უკუღმა მოეპყრენ. ფრანგულ დედნის უკან იგინი თავის ფილოსოფიურ უაზრობას უმატებდენ.

საფრანგეთის სინამდვილის ფილოსოფიურ ყბედობათ შეცვლას იმათ უწოდეს „საქმის ფილოსოფია“, „ჭეშმარიტ სოციალიზმი“, „სოციალიზმის გერმანული მეცნიერება“, „სოციალიზმის ფილოსოფიური დასაბუთება“ და სხვ.

და ასე, საფრანგეთის სოციალისტურ კომუნისტურ ლიტერატურას ყოველივე სერიოზული შინაარსი დაეკარგა. და რადგანაც იგი გერმანელების ხელში ერთი კლასის მეორის წინააღმდეგ ბრძოლას აღარ ხატავდა, ამიტომ გერმანელებმა თავის მოწოდებათ წარმოიდგინეს „ფრანგთა ცალმხრივობის“ შევსება მიზნათ დაისახეს დაცვა არა ჭეშმარიტ მოთხოვნილებათა, არამედ ჭეშმარიტების მოთხოვნილებისა; არა პროლეტარიატის ინტერესებისა, არამედ საზოგადოთ ადამიანის ინტერესებისა, ისეთი ადამიანის, რომელიც არცერთ კლასს არ ეკუთვნის და ამისათვის სინამდვილეში კი არა, ფილოსოფიურ ფანტაზიის ბუნდოვან სამეფოში არსებობს.

გერმანული სოციალიზმი დიდის ამბით ბაქი-ბუქობდა თავის საბრალო სხოლასტიურ გამოგონებათა შესახებ. მაგრამ მას ნელ-ნელა მაინც დაეკარგა თავისი პედანტიური უმანკოება.

გერმანიას და განსაკუთრებით პრუსიის ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალთა და მეფის თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ გაძლიერდა, ლიბერალური მოძრაობა გაიზარდა.

«ჭეშმარიტ» სოციალიზმს ამით სასურველი შემთხვევა მიეცა—პოლიტიკურ მოძრაობისთვის სოციალისტური მოთხოვნილებანი დაეპირდაპირებია და ჩვეულებისამებრ დაეწყევლა ლიბერალიზმი, წარმომადგენლობითი მთავრობა, ბურჟუაზიული კონსტიტუცია, სიტყვის ბურჟუაზიული თავისუფლება, ბურჟუაზიული უფლება, ბურჟუაზიული თავისუფლება და თანასწორობა და ხალხისთვის ექადაგებია— ამ ბურჟუაზიული მოძრაობისაგან ვერას მიიგებთ, წაგებით კი შეიძლება ყველაფერი წააგოთ. გერმანული სოციალიზმი თავის სასიხარულოთ ივიწყებდა იმას, რომ ფრანგულ კრიტიკას, რომლის ბრიყვული განმეორება თითონ იყო, სახეში ჰქონდა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი შესაფერი პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციით ე. ი. სწორეთ ის საზოგადო პირობები, რომლის გერმანიაში შემოღებაზე ჯერ მხოლოთ ლაპარაკი იყო.

გერმანიის თვითმპყრობელობის ხელში, მისი ხუცების, მასწავლებლების, მემამულეების და ბიუროკრატების ამალასთან ერთათ იგი შეიქნა სასურველ საფრთხობელათ, მტრულათ ამოძრავებულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ამნაირათ «ჭეშმარიტი» სოციალიზმი მთავრობის ხელში გადაიქცა იარაღათ წინააღმდეგ ბურჟუაზიისა; მაგრამ ამავე დროს ის იყო გამოხატულება გერმანიის მდაბიო მოქალაქეთა რეაქციონური ინტერესებისა. ეს წვრილი ბურჟუათა კლასი მომდინარეობს მეთექვსმეტე საუკუნიდან: მან ყოველთვის შეძლო თვისი ინტერესების ასე თუ ისე დაცვა, იგი წარმოადგენს გერმანიის დღევანდელ წყობილების ნამდვილ საზოგადოებრივ საფუძველს. ამ კლასის შენახვა ნიშნავს ამ წყობილების შენახვას, მას ეშინია ბურჟუაზიის სამრეწველო და პოლიტიკური ბატონობის, იმიტომ რომ კაპიტალის კონცენტრაციის და რევოლიუციური კლასის—პროლეტარიატის აღორძინებით, ის აუცილებლათ დაიღუპება, «ჭეშმარიტი» სოციალიზმი ერთი დაკვრით ორი კურდღლის მოკვლას აპირებდა და ისიც მოარული სენივით გავცელდა.

გერმანელი სოციალისტები თავისს ორ-სამ გაქვავებულ

ჭეშმარიტებას ახვევდენ ფილოსოფიური აბლაბუდით ნაქსოვ, ფილისოფიური ბრძნობის მჭევრ-მეტყველურ ყვავილებით მორთულს და მგრძნობიარე გულ-ჩვილობის ცრემლებით დანამულს სამოსელში. მორთულობა მხოლოთ ხელს უწყობდა მათი საქონლის ისეთ საზოგადოებაში გასაღებას. გერმანული სოციალიზმი უფრო და უფრო იჟღინთებოდა იმ გრძნობით, რომ ის მოწოდებულია აღფრთოვანებით დაიცვას ძველი მოქალაქენი. მან გერმანული ერი ნორმალურ ერათ აღიარა, ხოლო გერმანული მდაბიო მოქალაქე მდაბიო ადამიანათ. თვითეულ ასეთ მოქალაქის სიმდაბლეში ის ხედავდა დაფარულს და მაღალ სოციალისტურ აზრს, რომელიც მას მისთვის სულ წინააღმდეგ რამეთ ასხვაფერებდა. მან აშკარათ გამოილაშქრა კომუნიზმის «მხეცური დამღვეველი» მიმართულების წინააღმდეგ და თავისი თავი კლასთა ბრძოლის მაღლა-მდგომათ გამოაცხადა. გერმანიის თითქმის ყველა ეგრეთ წოდებული სოციალისტური და კომუნისტური თხზულებანი, გარდა ცოტაოდენი გამონაკლისა, ამ გასვრილ და გამათახსირებელ ლიტერატურას ეკუთვნის.

(დასასრული იქნება)

ცოტა რამ საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის ისტორიიდან *).

(თარგმანი)

ჩვენ უკვე დავინახეთ თუ როგორ დასრულდა მეფის და მისი ოჯახობის მგზავრობა დრუეს მეოხებით და საფრანგეთი ურთიერთშორის ბრძოლისაგან იქმნა ერთხელ დახსნილი.

მეფის გაქცევამ რესპუბლიკანური მოძრაობა საფრანგეთში გააძლიერა. მცხოვრებთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ მეფე დაემხობა და საფრანგეთი რესპუბლიკათ შეიქნებაო, მაგრამ ეს ვერ გადაწყვიტა ნაციონალურმა კრებამ, რაშიაც უმრავლესობას ზომიერი ხალხი შეადგენდა: მან გამოაცხადა, რომ მეფე მტრებმა ძალათ წაიყვანეს და მიტომ ის პასუხის მგებელი არაა. აღელვებულ-აბობქრებული ხალხი რომ დაემშვიდებიათ კრებამ დაუმატა, მეფე უნდა დაემხოს, დაეცეს და სამართალში მიეცეს იმ შემთხვევაში თუ ის ფიცს გატეხს კონსტიტუციის წინააღმდეგ.

ნაციონალური კრების ასეთია გადაწყვეტილებამ არ დააკმაყოფილა პარიჟელები, რომლებიც მეფის უფლების მოსპობას ითხოვდენ. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი მდგომარეობა დანაბოლოს ნაციონალურ კრებასა და ხალხს შორის შეტაკებას გამოიწვევდა. მაგრამ ნაციონალურმა კრებამ თავისი არსებობა ადრე შეწყვიტა. სამ სექტემბერს 1792 წ. მან დაასრულა კონსტიტუციის შემუშავება და 13-ს კი მეფემ შეატყობინა, რომ ის მზათაა ეს კონსტიტუცია მიიღოს. და მართლაც 14 სექტემბერს მეფე მოვიდა კრებაზე, რომ მიეღო ფიცი იმ კონსტიტუციაზე, რასაც მან ერთხელ უკვე შეფიცა მარსის მინდორზე 14 ივნისს 1790 წ. და თავისი, ოცი ივნისის 1791 წ. მანიფესტით უარყო.

ოცდაათ სექტემ. მოხდა უკანასკნელი ყრილობა ნაციონალური კრებისა, რომელმაც თავისთავზე მიიღო საფრანგეთის კონსტიტუციის შემუშავება. იმ წამსვე ხელახალი არჩევნები დანიშნეს და იმავე წლის 30 ოქტ. მეორე ნაციონალური კრების ეგრეთ წოდებულ ეროვნ მდებლობის კრების სხდომები დაიწყო. ის სულ ახალი პირებიდან შესდგებოდა, რადგანაც ნაციონალურმა კრებამ დაადგინა, რომ არც ერთ იმ პირს, რომელიც კრებაში მონაწილეობას იღებდა, მონაწილეობის უფლება არ ქონდა ეროვნ მდებლობის კრებაში, რომელიც საფრანგეთის კონსტიტუციას დამტკიცებდა და თან დაუწყო ბრძოლა შინაურ და გარეშე რევოლიუციის მტრებთან.

4 აგვისტომდის ნაციონალურ კრებაში ერთსულობა და ერთგულობა სუფევდა. მაგრამ როცა საქმე მივიდა კონსტიტუციის ძირითადი უფლების და სახელმწიფოს მოწყობის კითხვების შემუშავებაზე, მაშინ შეიქნა პარტიები, რომლებიც ერთი მეორეს არ ეთანხმებოდა. ყველაზე უფრო დიდი დავა პარტიებს ქონდა ამის შესახებ: მიეცეს თუ არა მეფეს უფლება გამოაცხადოს კანონი უვარგისათ, რასაც ხალხის წარმომადგენლები მიიღებენ **) და ნაციონალური კრება ორი პალატიდან უნდა შესდგებოდეს თუ არა. ამ დავის დროს აღმოჩნდა, რომ ნაციონალურ კრებაში ყოფილა ოთხი პარტია: მონარქიული, რომელსაც სურდა მცირე რეფორმები და გულში კი კონსტიტუციის წინააღმდეგი იყო; არისტოკრატიულ-კონსტიტუციონური, რომლის იდეალს ორ პალატიანი ინგლისის კონსტიტუცია შეადგენდა, ერთს ირჩევდა ხალხი, მეორეს – არისტოკრატია, რომელიც მეფის ბრძანებით არისტოკრატებიდან შეიძლებოდა; ლიბერალური და დემოკრატიულ-კონსტიტუციონალური პარტია ნაციონალურ კრებაში უფრო გავლენიანი იყო. მას სურდა ერთი პალატა და თანა მომხრე იყო, რომ მეფის, veto, აკრძალვას განსაზღვრულ დროში ქონოდა უფლება შემდეგ კი კანონი ხელმეორეთ უნდა გადასინჯულიყო. ყველაზე უფრო სუსტი დემოკრატიული პარტია იყო, რომელსაც სურდა მეფობის მოსპობა და რესპუბლიკის დაარსება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის კმაყოფილდებოდა ერთი პალატის დაარსებით და მეფის veto-ს უფლების მოსპობით.

ვერსალიდან პარიჟში ნაციონალური კრების გადატანამ, სადაც ის პოლიტიკის ქარცეცხლში ჩავარდა, პარტიები ჩამოაყალიბა: პირველი ორი პარტიიდან ერთი მანარქიული გადაკეთდა, რომელიც კრებაში თავმჯდომარის მარჯვენა მხარეს იჯდა და ამიტომ მემარჯვნე უწოდეს; დემოკრატიულ-კონსტიტუციონალური ანუ-ცენტრი დარჩა ყველაზე უფრო ძლიერი კრებაში. განაბოლოს დემოკრატიული ანუ მემარცხნე—ყველაზე უფრო რიცხვ ნაკლები კრებაში. ამ უკანასკნელთ ყავდა ბევრი მომხრე გაყვლეფილ პარიჟის მუშებს შორის. ამ უკანასკნელიდან ძლიერ ადრე წარმოიშვა უკიდურესი მემარცხნე ანუ მთა. (მონტანის) მას მთა უწოდეს იმიტომ, რომ მისმა წევრებმა მარცხნით ყველაზე უფრო მაღალი ალაგი დაიჭირეს. ეს მთა იყო რევოლიუციის ნამდვილი სული და გული; დანარჩენები ყველა მზათ იყო უბრალო ფინჩხით დაკმაყოფილებულიყვენ. ამვე დროს კრებაზე გავლენა იქონია პარიჟელების პოლიტიკურმა მისწრაფებამ, რაც ყველაზე უფრო კლუბებში და გაზეთებში გამოიხატა.

პირველი კლუბი ბრეტანის დეპუტატებმა ვერსალში დაარსეს, რასაც პარიჟში მიემხრენ სხვა კუთხის დეპუტატებიც. პირველათ კლუბს მიზნათ ქონდა თანაზიარათ ემსჯელათ იმის შესახებ თუ რა გააკეთა კრებამ, ან რას გააკეთებდა. ამ პირველმა კლუბმა სახელათ დაირქვა კონტიტუციის მეგობარი, შემდეგ კი რევოლიუციის მეგობრათ მოინათლა. ჩქარა დეპუტატებს გარდა კლუბში ყველა მოქალაქეები მიიღეს, რომლებმაც ადრე გაზარდეს და დიდი სახელიც მოუპოვეს. რადგანაც კრება წმინდა იაკობის შენობაში ხდებოდა

*) იხ, მოგზ. № 30.

**) ამას ქვია Veto-ს უფლება ე. ი. რაიმეს აკრძალვა. ეს სიტყვა ლათინურა: ნიშნავს Voto—ავკრძალავ.

ამისათვის მისი წევრები იაკობინებათ მონათლეს. ამ კლუბის განყოფილება ყველა საფრანგეთის ქალაქებში იყო. აი ამის შემწეობით ძლიერი რევოლიციის ხელმძღვანელი, ძალა მოიპოვა. დროთა ვითარების გამო ეს კლუბი უფრო და უფრო დემოკრატიული შეიქნა და თან უფრო და უფრო რევოლიუციონურიც. პირველათ მას დემოკრატიულ კონსტიტუციური პარტიის ბელადებიც ესწრებოდენ: მირაბო, ბაილი, ლაფაიეტი და სხვები. მას შემდეგ, რაც დემოკრატიულმა აზრებმა ძირ-ფესვი გაიბა მიგ და გადააჭარბა სხვებს, ეგრეთ წოდებული ზომიერები ჩამოშორდა და თავისთვის დაიარსა კლუბი 1782 წ. იაკობინელების კლუბს ზოგი უკიდურესი დემოკრატებიც ჩამოეცალა, როგორც მაგ. მამიდი დეპულენი, დანტონი და მარატი და კლუბი კორდელიეროვის დაიარსეს. დემოკრატიულ კლუბს დიდი, მეტათ დიდი, გავლენა ქონდა პარიჟის მცხოვრებლებზე, რომლებმაც აქ მიიღეს თავისი პოლიტიკური და რევოლიუციური აღზრდა. კლუბში აღიზარდა ხალხის საუკეთესო ორატორები, ბელადები და საუკეთესო მებრძოლი ხალხის საქმისათვის.

კლუბს დაეხმარა გაზეთები, რაც ძლიერ ცოტა იყო რევოლიუციის დრომდე და ეხლა კი სოკოსავით გამრავლდა. გაზეთები მთელ პარიჟს და საფრანგეთს მოეფინა, ყოველგან დასთესა იდეალი თავისუფლებისა ტირანის [1]) საწინააღმდეგოთ.

ნაციონალურ კრების მიერ შემუშავებულმა კონსტიტუციამ საფრანგეთი ნახევარ დემოკრატიულ სახელმწიფოთ გადაქმნა. დღიდან კანონების გამოცემა ნაციონალურ კრებას ეკუთვნოდა; ნაციონალურ კრებას ყოველ ორ წელიწადში ირჩევდენ. ამორჩევითი სისტემა არა პირდაპირი იყო ე. ი. მოქალაქეები პირდაპირ დეპუტატს კი არ ირჩევდენ, არამედ ამომრჩევლებს, რომლებიც თავის მხრით ირჩევდენ დეპუტატებს. საარჩევნო უფლებაც საყოველთაო არ იყო, ვინაიდგან ყველა მოქალაქეები ამ უფლებით ვერ სარგებლობდა. მხოლოთ უფლება ქონდა ამომრჩევლები აერჩია და აქტიურ მოქალაქეთაც ითვლებოდა ის, ვინც ოცდა ხუთი წლისა იყო და თანვე ყოველ წლობით პირდაპირ გარდასახადს თუ იხდიდა, რაც სამი დღის ქირას უდრიდა ე. ი, სამ ფრანკს; დანარჩენები კი „პასიურ მოქალაქეთ“ ითვლებოდა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ქონდათ. მეფის პიროვნება ხელ შეუხებელი იყო; საფრანგეთს მმართავდა ის მინისტრების შემწეობით, რომლებიც პასუხის მგებელნი იყვენ ხალხის წარმომადგენლების წინაშე. მეფეს ქონდა Veto-ს უფლება ე. ი. კრების დადგენილება, რასაც თვითონ არ ეთანხმებოდა, ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ დადგენილებას მეორეჯერ და მესამეჯერ კანონმდებლობის კრება ოთხი წლის განმავლობაში დაამტკცებდა. მეფე ჯარის უფროსათ ითვლებოდა, მაგრამ ომის გამოცხადების და ზავის ჩამოგდებისათვის კრების ნება უნდა აეღო. მეფას ქონება სახელმწიფოს გარდაეცა. მას მხოლოთ რამდენიმე კოშკი და ყოველ წლიურათ ოცდა ათი მილიონი ფრანკი დარჩა. ასეთი ბედი მარტო მეფის საკუთრებას არ წვევია. საფრანგეთის ყველა სახნავ-სათესი მიწების მეხუთედი ნაწილი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა ისე კი არა, როგორც ამა თუ იმ პირის კერძო საკუთრება, არამედ როგორც ეკკლესიის საკუთრება. ეს ქონება ხუცებს წლიურათ აძლევდა 100 მილიონ ფრანკ შემოსავალს. ყველა ეს ქონება სასულიერო წოდებას ჩამოერთვა და ნაცვლათ განსაზღვრული ჯამაგირი დაენიშნა ხაზინიდან. ასე ამ რიგათ ნაციონალური კრება ამ შემთხვევაშიაც, ისე როგორც არჩევნების უფლების დროს, ნახევარ ზომებით დაკმაყოფილდა; ეკკლესიის სახელმწიფოსაგან გათიშვა მან ვერ გაბედა. ნაციონალურმა კრებამ ვერ გამოიჩინა იმდენი სიყოჩაღე და სიმამაცე, რომ სარწმუნოება გაეხადა თავისუფალი კაცის სინიდისის საქმეთ და სასულიერო წოდების შენახვა მიენდო ყველა იმათთვის ვისაც ეს რწამდა.

ასე თუ ისე ნაციონალურმა კრებამ სასულიერო წოდების ჩამორთმეული ქონებით გაისტუმრა ოთხასი მილიონი ფრანკი ვალი, რაც 1789 წ. საფრანგეთს ქონდა. ჩამორთმეული მიწების გაყიდვა ამრიგათ გადაწყვიტეს: ვინაიდგან ერთბაშათ ამდენი მიწის გაყიდვა არ შეიძლებოდა და არც სასურველი იყო, ამიტომ ერთი ნაწილი პარიჟის ქალაქის სამმართველოს დაუგირავეს. ამ მაგალითს სხვა ქალაქის სამმართველოებმაც მიბაძეს. ქალაქის სამმართველო სახელმწიფოს აძლევდა ვექსილებს, რასაც მიწების გაყიდვის მიხედვით ისტუმრებდენ. შემდეგ ასეთი ვექსილების გაცემა თვითონ სახელმწიფომაც დაიწყო და ასე ამ რიგათ წარმოიშვა პირველი ქაღალდის ფული, რასაც რევოლიუციის დროს ასიგნაციებს ეძახდენ.

ასიგნაციები ხალხში, როგორც ფული ისე გავრცელდა და ხაზინა ღებულობდა, როგორც გაყიდული მიწის საფასეს. ამ გზით ბევრი მიწის წვრილი მესაკუთრე წარმოიშვა, რომლებიც უწინ რევოლიუციის საქმეს სულითა და გულით ემსახურებოდენ, მაგრამ შემდეგ კი უღალატეს: ისინი მხოლოთ მიისწრაფოდენ და მიილტოდენ ახალ შეძენილი ქონება კარგათ თვითონვე მიესაკუთრებიათ. ამათ რევოლიუციის ეშინოდათ, ვინაიდგან ფიქრობდენ, რომ რევოლიუცია ყოველგვარ საკუთრებას მოსპობსო.

ნაციონალური კრების შემუშავებულ კონსტიტუციას წინ უძღოდა „ადამიანის და მოქალაქის უფლების განცხადება“, რაშიაც მოკლეთ გამოთქმულ-გამოხატული იყო ის იდეა, რითაც მაშინდელი განათლებული საზოგადოება ხელმძღვანელობდა. მართალია პრაქტიკულათ ეს იდეა უფრო იმ ბურჟუაზიის სასარგებლო იყო, რომელიც მაშინ იბადებოდა, მაგრამ მართალია ისიც, რომ „ადამიანის და მოქალაქის უფლების განცხადება“ კარგათ გადმოგვცემს მაშინდელი ახალი დროის სულიერ მდგომარეობას, მის ლიბერალურ და დემოკრატიულ მისწრაფებას, რაც შეადგენს ჩვენი დროის ბევრ პარტიის პროგრამის შინაარსს.

ეს საბუთი ადამიანის და მოქალაქის შემდეგ უფლებას აღიარებს:

„ადამიანი იბადება და სიკვდილამდის რჩება თავისუფალი და თანასწორი. ადამიანების განსხვავება საზოგადოებრივ დამოკიდებულებაში შეიძლება გამართლდეს მხოლოთ საზოგადო სარგებლობით.

ყველა პოლიტიკურ დაწესებულებების მიზანია დაიცოს ბუნებრივი და მიუჩემებელი უფლება ადამიანისა; ეს უფლებები შემდეგია; თავისუფლება, კერძო საკუთრება, უშიშრობა და დაჩაგვრის წინაალმდეგობა.

ყველა უზენაესი უფლების პირველი წყარო არის ხალხი. არავითარ დაწესებულებას, არც ერთ პირს, არა აქვს ისეთი ძალა და უფლება, რომელიც პირდაპირ ხალხიდან არ გამოდიოდეს.

თავისუფლება არის ყველაფრის გაკეთების უფლება, რაც არავის ავნებს. მაშასადამე თვითეულ ადამიანს შეუძლია ისარგებლოს თავისი ბუნებრივი უფლებით იმ ჩარჩოში, რაშიაც სხვა ყველა წევრი საზოგადოებისა უზრუნველყოფილია ამავე უფლებით. ამის განსაზღვრა მხოლოთ კანონს შეუძლია.

კანონს შეუძლია აკრძალოს ყველა ის მოქმედება, რაც საზოგადოებისათვის მავნებელია. ყველა ის, რასაც კა-

[1]) უკანონო და დესპოტიური მმართველობა, მკაცრი მოქცევა და წვალება.

ნონი არ კრძალავს ნება დართული უნდა იყოს და ვერავის ვაიძულებთ მის გაკეთებას, რასაც კანონი არ ავალებს.

კანონი არის საზოგადო სურვილის გამოხატვა. ყველა მოქალაქეს თვითონ აქვს უფლება პირადი, ან რწმუნებულის საშუალებით, მონაწილეობა მიიღოს კანონის შექმნაში. კანონი ყველასათვის ერთი უნდა იყოს იქ სადაც ის იცავს თუ ბრალს სდებს ადამიანის უფლებას. ვინაიდგან კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანასწოროა, ამიტომ ყველა იმათ, თავისი ნიჭის მიხედვით, შეუძლიათ საზოგადოებაში რაიმე ალაგი დაიჭირონ და ყველა მოვალეობა შეასრულონ. ყოველგვარი განსხვავება აქ მათ შორის განისაზღვრება მათი მხნეობით და ტალანტით.

ვინმეს ბრალის დადება, დაჭერა და ციხეში ჩასმა შეიძლება იმ ფორმით, რასაც კანონი უწერს. კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში. ის ვინც ცდილობს მეორესგან მოიპოვოს სიძლიერით ბრძანება, ვინც ამას აძლევს, ასრულებს, ან ასრულებინებს სხვას, ის უნდა დაისაჯოს; მაგრამ ყველა მოქალაქე, რომელიც პასუხის გებაშია ან დაჭერილია კანონის ძალით, უნდა დაემორჩილოს დაუყოვნებლივ; ყოველგვარი წინააღმდეგობისათვის დაისჯებიან.

კანონმა უნდა დაადგინოს უსათუოთ ასეთი სასჯელი, რომელიც აუცილებლათ საჭიროა: დასჯა შეიძლება მხოლოთ იმ კანონების დარღვევისათვის, რომელიც გამოცემული და გამოქვეყნებულია დანაშაულობის ჩადენამდის და რაც უკვე ეფარდება კანონმდებლების მოწერილობის ყველა პირობებს.

ვინაიდგან ყველა ადამიანი უდანაშაულოა სანამ მისი დანაშაულობა არ დამტკიცებულა, იმ შემთხვევაში, როცა იმის დაჭერა აუცილებელია, კანონმა უნდა სასტიკათ აკრძალოს ყველა მისი ხვედრის შევიწროება, რაც აუცილებლათ არ არის საჭირო, რომ ის პასუხის გებას არ გაექცეს.

არავინ არ უნდა იდევნებოდეს თავის აზრებისთვის და სარწმუნოებისათვისაც, თუ ეს აზრების გამოთქმა არ არღვევს და ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესებს.

თავისუფლათ აზრების და ფიქრების გადაცემა არის ერთი უძვირფასესი უფლებათაგანი ადამიანისათვის; ამისათვის თვითეულ მოქალაქეს შეუძლია თავისუფლათ ილაპარაკოს, წეროს და ბეჭდოს, და პასუხს აგებს მხოლოდ კანონის წინაშე ამ თავისუფლების ბოროტათ მოხმარებისათვის.

ადამიანის და მოქალაქის უფლების დასაცველათ საჭიროა საზოგადოების ძალა, რაც, ამისათვის, არსდება, ყველას საკეთილდღეოთ, არამედ იმ მცირედთათვის სასარგებლოთ, რომელთაც ის აბარია.

საზოგადოების მმართველთა შესანახათ და სამმართველოს ხარჯებისათვის საჭიროა საზოგადო გადასახადი, რაც უნდა გაწესრიგდეს ყველა მოქალაქეებზე შემოსავლის კვალობაზე.

ყველა მოქალაქეებს პირადათ, ან რწმუნებულის საშუალებით, აქვს უფლება განსაზღვროს საზოგადო გადასახადი, მისცეს, თავისი თანხმობა მისდა ასაკრეფათ, თვალყური ადევნოს ხერჯებს და განსაზღვროს ის ნაწილი, რაც ხდება თვითეულ მოქალაქეს, და აგრეთვე აკრეფის საშუალებები და ხანგრძლიობა ამ გადასახადისა.

თვითეულ საზოგადოების მოსამსახურეს, მაზე მინდობილი საქმის ასრულების შესახებ, საზოგადოებას აქვს უფლება ანგარიში მოსთხოვოს.

საზოგადოებას, რომლის უფლება უზრუნველ ყოფილი არ არის, და რომელშიაც მართველობა დანაწილებული არაა, კონსტიტუცია არა აქვს.

ვინაიდგან კერძო საკუთრების უფლება დაურღვეველი და წმინდაა, მიტომ არავის ის არ წაერთმევა იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას თვალსაჩინოთ მოითხოვს საზოგადოებრივი აუცილებლობა, რასაც კანონი განსაზღვრავს მხოლოდ იმ პირობით, რომ სიმართლე დაცულ იქმნას და წინ-და-წინაც ეფაზღაუროს.

აი რა გააკეთა მეთვრამეტე საუკუნეში ნ-ცარიელებმა კრებამ საფრანგეთში.

ზაქ. ჩიჩუა.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი ბ.ბ. თედო. სახოკიას და სამსონ ფირცხალავას

როგორც იცით, სახოკიასა და ჩხეიძეშვილის საქმის გარჩევა სამედიტორო სასამართლოს ვერ მოახერხა იმ მიზეზის გამო, რომ სახოკიას ათი მოწმის დაკითხვის შემდეგ, ჩხეიძეშვილის მეორე მოწმეს, ფაჩულიას, სახოკიას რამდენიმე მომხრე პირებმა შეაწუეტინეს ჩვენების მიცემა ფანჯრიდან რეკოლვერებისა და სახჯლების ჩვენებით, შემდეგ შემოცვივდენ ზალაში და შეაწუეტინეს სამართლის წარმოება. შემდეგ, ქუჩაში, როდესაც ვიღაცებს ეკითხებოდი, რათ არ აცალეს ფაჩულიას ჩვენების მიცემა, თუნდაც მას ტეუილი ეთქვა, დანარჩენი ცხრამეტი მოწმის ჩვენება ხომ მაინც გააუქმებდა მის ჩვენებას, თუ ის ტეუილი იქნებოდა და მისთვისვე სასირცხო დარჩებოდა მეთქი, მოულოდნელათ უკანიდან მომვარდენ ვიღაცები და დამიწეეს ცემა. ერთმა მათგანმა შემომძახა: «მეგრელების მტერი ხარო?!» და ამ სიტეუებს უშვერი გინებაც თან დაეთქა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პირები მე პირადათ არ მიცნობენ და რომ ისინი ამ შემთხვევაში მოქმედებდენ, როგორც ბრძა იარაღნი ვიღაც უსინდისო ტიღის მწამებელ პირებისა, თორემ ისინი მეგრელების მტრობას არ შემწამებდენ და არც შეურაცეოფას მომაყენებდენ. ამის საბუთათ მოშეავს ის გარემოება, რომ ბ-ნ სახოკიამ ჩვენების მიცემის შემდეგ მადლობა გადმიხადა «გულწრფელი და მართალი ჩვენების მიცემისათვის», რასაც ის, ალბათ, არ მოელოდა ჩემგან, როგორც მოწინააღმდეგე მხარის მოწმისაგან.

ნუ თუ „მეგრელების მტრობას“ ნიშნავს იმ აზრის გატარება, რომელიც გამოვთქვი მე ჩვენების მიცემის დროს? და იმ აზრის გამოთქმის მეტი კი არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის მე არავისთან. დიახ, არავითარი მტერი მეგრელებისა მე თავის დღეში არ ვეოფილვარ და არც შემიძლია ვეთო, მხოლოთ მოწინააღმდეგე კი ვეოფილი და ვიქნები ისეთი პირებისა, რომლებიც რადაცა მოსაზრებით ამტკიცებენ, რომ მუშების ერთი ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია და სამართლიანი მეორე ნაწილთან შებრძოლებით (აქ მე იარაღით შებრძოლებაზე არ ვამბობ) და მათი ხამდვილი მტერის დავიწეებით.

ამიტომ მე ვთხოვ ბ-ნ სახოკიას, რომ მან გაიმეორის გაზეთის ფურცელზე, რომ ჩემი ჩვენება სრული სიმართლე იეო და რომ არავითარი მიკერძება მაში არ ეოფილა და ბ.ბ. ფირცხალავასა და სახოკიას, ორივეს ერთათ, ვთხოვ გამოთქვან თავისი აზრი ამის შესახებ, შეიძლება თუ არა დამერქვას მე „მეგრელების მტერი“ იმ აზრების გამო, რომელიც გამოვთქვი ჩემს ჩვენებაში, რადგანაც სხვა არავითარი საბუთი ამის არ არსებობს და ვერც ვერავინ დამამტკიცებს რასმე.

და თუ კი არ შეიძლება დამერქვას, მაშინ ჩემთან ერთათ გამოუცხადონ თავისი ზიზღი იმ ტიღის მწამებლებს, რომლებმაც შეიეანეს შეცდომაში ჩემი შეურაცხმეოფელნი, და ჩაადენიეს მათ უდირსი და ბარბაროსული საქციელი.

ლ. დავითაია.

P. S. ეს წერილი 8 თუ 9 აგვისტოს გავგზავნე „ცნობის ფურცელის“ რედაქციაში, მაგრამ იმან დღემდის არ დაბეჭდა ის და ამ გვარათ არ მომცა საშვალება დამემტკიცებია ჩემი უდანაშაულობა მეგრელების წინაშე და გამომემეღავნებია ტიღის მწამებლობა იმ ინტრიგანებისა, რომელნიც სრულიად უბრალოთ საშიშ მდგომარეობაში აყენებენ ჩემს პიროვნებას.

სამტრედია, 17 აგვისტო 1895 წ. ლ. დ.

რედ.-გამომც. ი. პ. როსტომაშვილი.

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 20-го Августа 1905 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა, რუსის ბაზარი, სახლი ᲡᲛᲑ. სას. სემ.